619
1978
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

დეკემბერი
№ 12 1978 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რთველი ნაფარეულში.    თარხან არჩვაძის ფოტო.    ნაფარეულის ღვინის ქარხანასთან.





# ენგური კომუნიზმს ემსახურება

**სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, დამპროექტებლებსა და მანქანათმშენებლებს, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მონაწილეს**

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის წინ ვადამდე ამოქმედდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი აგრეგატი.

გულითადად გილოცავთ ამ შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას. იგი მოპოვებულია იმის მეოხებით, რომ თავდადებით შრომობს მშენებელთა და მემონტაჟეთა მრავალეროვანი კოლექტივი, შემოქმედებითი თანამეგობრობაა დამყარებული სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო ინსტიტუტებთან, მოწყობილობის მიმწოდებელ ქარხნებთან, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, აგრეთვე ენგურჰესის მშენებლობის მონაწილე ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია.

პარტიისა და ხალხის ნება-სურვილისამებრ, საქართველოს ძველთაძველ, საარაკო მთებში შენდება ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, უნიკალური მაღლივი კაშხალი, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს განასახიერებს. ამიერიდან დამორჩილებული ბობოქარი ენგურის ენერგია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას მოხმარდება. ეს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთა და ერთა ძმური და ურღვევი კავშირის ძლიერების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

მწამს, რომ ენგურჰესმშენის მრავალათასიანი კოლექტივი, ასრულებს რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ძალ-ღონესა და უნარს არ დაიშურებს, რათა მიმდინარე წელს უზრუნველყოს კიდევ ორი ჰიდროაგრეგატის ამოქმედება, რაც შეიძლება მალე დაამთავროს ენგურჰესის მშენებლობა და აამუშაოს იგი 1300 ათასი კილოვატი სრული სიმძლავრით.

გულითადად გილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, აგრეთვე დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

**ლ. ბრეჟნევი.**

75863
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

# დროშა

№ 12 (504). დეკემბერი. 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1978.







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# დიდი სიმღერა

ნოდარ დუმბაძე

უთვალავი საუკუნეა, რაც ენგური ლაგამაწყვეტილი, გაუხედნავი და ლაშებზე ქაფმომდგარი თეთრი ბედაურივით მოჭქრის სვანეთის ჭალარა მთებიდან თავქვე. მოჭქრის და თან მოაქვს ქვა-ღორღი, ასწლოვანი ფესვებდაგლეჯილი ხეები, შლამი, დედამიწის გულიდან მოტაცებული ოქრო და როგორც მოწყალებას, ისე აბნევს ბიბლიური კოლხეთის დაბლობზე.

ასე მოჭქროდა იგი უთვალავი საუკუნეების მანძილზე და არ იყო ქვეყნად ძალა მისი შემჩერებელი და დამაოკებელი. ალბათ, ერთხელ თავის ცხოვრებაში შედრკა იგი, როდესაც მის აღმოსავლელ ძმას — მტკვარს დაადგა ადამიანმა ქვითკირით შედუღაბებული მძიმე უღელი და ხალხის სამსახურში ჩააყენა. მაგრამ თავისუფლების მოყვარე ენგურმა კიდევ ორმოცდათერთმეტი წელიწადი ინავარდა ასე.

ენგური იყო მარადიული საიდუმლოებით მოცული, ოქროს საწმისის ლეგენდის დაკარგული გასაღები, რომელიც არგონავტებმა მოგვტაცეს ქართველებს და დღეს, როდესაც თქვენ გიცქერით, ენგურჰესის გოლიათ მშენებლებს, ასე მგონია, თქვენ იპოვეთ ამ ფასდაუდებელი საუნჯის გასაღები და კვლავ დაუბრუნეთ ჩემს ხალხს.

... და აჰა, დღეს ჩემს თვალწინ დგას ეს თეთრი რაში, უძლეველი კაცის ღვთიური ხელით დაოკებული, გახედნილი, უნაგირდადგმული, დამშვიდებული, დაბრძენებული, ქედმოხრილი და გამზადებული ხალხის სამსახურად.

... და დღეს, როდესაც თქვენ გიყურებთ, ძვირფასო ენგურის მშენებლებო, ასე მგონია, კავკასიონის მაღალ ქედზე მიჯაჭვულმა ზღაპრულმა ამირანმა გასწყვიტა ბოლოს და ბოლოს მონობის საბედისწერო ჯაჭვი, მოვიდა აქ, სწორედ ამ ადგილას, თავისი ვეებერთელა გოლიათური პეშვით გადაკეტა მქუხარე ენგური და ხარბად დაეწაფა მას, რათა მოეკლა საუკუნო წყურვილი, კვლავ მოეტაცა მრისხანე ღმერთისათვის ღვთიური ცეცხლი და კვლავ მოეტანა ხალხისათვის მაცოცხლებელი სითბო და სინათლე.

ათასმა მგოსანმა და მწერალმა უმღერა ენგურს წარსულში დიდებული სიმღერა. ათასმა თანამედროვე მგოსანმა და მწერალმა უმღერა უკვე ამ მეოცე საუკუნის სასწაულს, რომელსაც დღეს თქვენ აშენებთ. მეც არაერთხელ მითქვამს თქვენი გმირული შრომისა და მარჯვენის საგალობელი, ალბათ, კიდევ ათასობით სიმღერებს დაწერენ თქვენზე და ენგურზე მომავალი თაობები, მაგრამ რა შეედრება იმ სიმღერას, რომელიც აგუგუნდება დღეს აქ — ენგურზე, იმდენ ხმაზე, რამდენი ერის წარმომადგენელიც აშენებდა ამ მთებშუა მოქცეულ სასწაულს. რომელი ერთი კაცის და პოეტის ფილტვები გაუძლებს ასეთ სიმღერას, თუ არა ეს ჩონგურის სიმებივით გაბმული ვეებერთელა მავთულები, რომლებიც ყველა თქვენთაგანის გულიდან არის გაბმული და საოცარი გუგუნით უერთდება მილიონობით ადამიანთა გულებს.

არ არსებობს დღეს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე ენგურის ეს ახალი დაბადება!

არ არსებობს დღეს უფრო დიდი სიმღერა, ვიდრე ამ ღვთიური ელვით დამუხტული მავთულების გუგუნი!

ჩვენ, მწერლები, სიყვარულს კილოვატებით არ ვზომავთ, ჩვენი სიყვარულის საზომი დრო არის!

ამიტომ თქვენს უკვდავ საქმეს და მარადიულ სიმღერას გაუმარჯოს!

---

სიტყვა წარმოთქმული ენგურჰესის მშენებელთა მიტინგზე 1978 წლის 6 ნოემბერს.



მდიდარი და ხვავრიელი შემოდგომის მიწურულს საქართველომ ფართოდ გაუღო კარი სასურველ სტუმრებს — საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურის წარმომადგენლებს — საქართველოში ჩატარდა საბჭოთა ლიტერატურის დღეები.

ეს გახლდათ ჩვენი ხალხების ლიტერატურათა მეგობრობის დიდი დღესასწაული. ეს დღესასწაული თავიანთი მონაწილეობით დაამშვენეს რუსი და უკრაინელი, სომეხი და აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების საუკეთესო წარმომადგენლებმა.

სტუმრები ეწვივნენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს, შეხვდნენ სოფლის მეურნეობის, ფაბრიკა-ქარხნებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

ლიტერატურის დღეები საქართველოში გადაიქცა ძმობისა და მეგობრობის დიდ ზეიმად.









გადიოდა წლები და მე სულ უფრო და უფრო მეტად ვგრძნობდი, რომ ქართული თემა ჩემთვის იქცა განსაკუთრებულ თემად, რომ ირგვლივ არსებული სინამდვილე, ბუნება და ყოფა ჩემი საკუთარი ბიოგრაფიის ნაწილი გახდა.

**ნიკოლოზ ტიხონოვი**
მოსკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი მოგზაურობა თქვენს მშვენიერ მიწაზე მარწმუნებს, თუ როგორ სწამს ქართველ კაცს მისი მომავალი. ამ რწმენამ მოუტანა აქამდე მისი უძველესი კულტურა, ამ რწმენით შექმნა ვარძია და სვეტიცხოველი და, თუ გნებავთ, ენგურჰესი.

**ივან დრაჩი**
კიევი

ჩვენი ხალხები—სომეხი და ქართველი ხალხები ბედმა ლიტერატურითაც დაამეგობრა. ეს მეგობრობა ფუძემყარია და სასიამოვნოა, რომ დღესაც გრძელდება და ვითარდება.

**სილვა კაპუტიკიანი**
ერევანი

ასე მგონია სიმღერასთან ისე ახლოს არავინ სახლობს, როგორც ქართველი კაცი...

**ბელა ახმადულინა**
მოსკოვი

ალბათ სწორედ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინური ძმობაა ჩვენი რევოლუციის უმთავრესი გამარჯვება, ყველაზე მაღალი პოეზიის შარავანდედი.

**მიხეილ დუდინი**
ლენინგრადი

საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს, მოდით, ნუ ჩამოვთვლით სათითაოდ. მე მიყვარს ისინი სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულისათვის, მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, რაც ასე ძალუმად ჩქეფს მათს შემოქმედებაში, დიდი ინტერნაციონალიზმისათვის.

**კონსტანტინე სიმონოვი**
მოსკოვი

# საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველოში





- საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი ნ. ბარათაშვილის ძეგლთან.
- მწერლების ერთი ჯგუფი ელმავალმშენებლებთან.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მარცხნიდან: კ. სიმონოვი, გრ. აბაშიძე და უნივერსიტეტის რექტორი დ. ჩხიკვიშვილი.
- ესტონეთის სახალხო მწერალი აადუ ჰინტი აბაშაში.
- ირაკლი აბაშიძე და ელენე ნიკოლაევსკაია.
- ბულგარელი პოეტი ქალი ლილიანა სტეფანოვა.



# ჭირნახული

შუართვლობა იდგა, როცა თელავის რაიონს ვეწვიეთ.

ალაზანგადაღმა, კავკასიონის მთებისძირა ვაკობზე, შორიდანვე მოვკარით თვალი ნაფარეულის ცნობილ ღვინის ქარხანას.

ეს ქარხანა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი ღვინის ქარხანაა. სამოციან წლებში იგი მხოლოდ 2.500—3.000 ტონა ყურძენს ამუშავებდა, წელს კი ქარხანას 15.400 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავება ჰქონდა დაგეგმილი.

ნაფარეულის ღვინის ქარხნისათვის ყურძნის საზოგადოებრივი ჩამბარებლები არიან სანიორისა და ფშაველის კოლმეურნეობები, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა, ლალისყურის მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანება, ლაფანყურის საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა.

ჯერ ლალისყურის ზვრები მოვინახულეთ.

საწარმოო გაერთიანებას, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი და უნარიანი ორგანიზატორი კარლო ჭვრიტიძე ხელმძღვანელობს, 50 ჰექტარზე აქვს გაშენებული სრულმოსავლიანი ვენახები. აქაურ მევენახეებს წელს გეგმის მიხედვით 210 ტონა ყურძენი უნდა ჩაებარებინათ.

— ხომ ხედავთ, რა ბარაქიანი მოსავალი გვაქვს, — გვესაუბრება პატივცემული კარლო ჭვრიტიძე, — ხუთწლედის მესამე წლის გეგმას ორმაგად და უფრო მეტად გავანაღდებთ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ მართალს ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამის აღნიშვნაც კმარა: მდინარე სტორისპირა ვენახებში გამრჯე მეზვრეები ერთ ჰექტარ ფართობზე ზოგან 200 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

მათ არც სანიორელ კოლმეურნეები უდებენ ტოლს.

როგორც განყოფილების გამგემ დიმიტრი თათულაშვილმა აგვიხსნა, სანიორელებმა გეგმის მიხედვით წელს თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 77 ცენტნერი ყურძენი უნდა მიიღონ, ფაქტიურად კი 110 ცენტნერს კრეფენ.

დაჩქარებული შრომის ტემპი იგრძნობა ყველგან. ნაფარეულელი, ფშაველი, ლაფანყურელი მევენახეები ყველაფერს აკეთებენ, რომ მოზღვავებული

მარცხნივ — ნაფარეულელი მევენახეები.

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ელდარ თათულაშვილი და მეურნეობის დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი.





# ხუთწლედის ადამიანები

ყურძენი დროულად და უდანაკარგოდ ჩაბარდეს ნაფარეულის ღვინის ქარხანას.

ქარხნისკენ მიმავალ გზებზე ერთმანეთის მიყოლებით მიეშურებიან ყურძნით პირთამდე დატვირთული ავტომანქანები.

ახლა სიტყვა მეღვინეობის მუშაკებს ეკუთვნით! მათ უნარზე, მონდომებაზე, ცოდნასა და გარჯაზეა დამოკიდებული საბოლოო წარმატება. ქართველი მევენახეების მთელი წლის თავდადებული გარჯით მოწეულ მოსავალს შეუფერხებელი მიღება, განაწილება, დაბინავება, სათანადო მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ტექნოლოგიით გადამუშავება სჭირდება.

ნაფარეულის ღვინის ქარხანამ მიღებული ყურძნიდან წელს გეგმის მიხედვით უნდა დაამზადოს 60.000 დეკალიტრი „ნაფარეული“ თეთრი, 50.000 დეკალიტრი „ნაფარეული“ წითელი, 60.000 დეკალიტრი „ვაზისუბნისა“ და 260.000 დეკალიტრი შემაგრებული ღვინოების მასალა.

დანარჩენი ორდინალური ღვინოები ადგილზევე დამუშავდება და მზაპროდუქციის სახით გაეგზავნება ჩამომსხმელ ღვინის ქარხნებს.

ქარხანას საკონიაკე სპირტის სახდელი საამქროც აქვს. ეს საკმაოდ მძლავრი საამქრო ყოველწლიურად 500—600 ათას დეკალიტრ საკონიაკე ღვინოს ხდის — როგორც ადგილობრივი, ისე მეზობელი ღვინის ქარხნებიდან შემოსული საკონიაკე ღვინომასალებიდან.



ნაფარეულის ღვინის ქარხნის დირექტორი მერაბ ხიდეშელი და ინჟინერ-ტექნოლოგი ირაკლი ბალათური.



ლალისყურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კარლო ჭვრიტიძე და მოწინავე მევენახე გაბრიელ რამაზაშვილი.



ნაფარეულის ღვინის ქარხნის ქიმიკოსი მედიკო უთმელიძე.



სოფელ სანიორეს კოლმეურნეობის აგროგანყოფილების მმართველი დიმიტრი თათულაშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა აივაზაშვილი და მოწინავე მევენახე სანდრო როსიაშვილი.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქარხნის კეთილმოწყობილ სარდაფში დასაძველებლად ჩაყენებულია 156.000 დეკალიტრი „ნაფარეულისა“ და „ბახტრიონის“ ღვინომასალები, რომლებსაც ხარისხის ნიშნები აქვთ მინიჭებული.

ერთი რამ გვეუცნაურა: წინათ, როგორც წესი, ქარხნის წინ ყოველთვის იდგა ხოლმე ყურძნის ჩასაბარებლად სხვადასხვა მხრიდან მოსული მანქანების გრძელი რიგი.

ახლა ქარხნის მიმღები განყოფილების ბაქანზე სულ რაღაც ათი-თორმეტიოდე მანქანა ჩანდა.

ძველებური გნიასის ნაცვლად ქარხნის ეზოში მხოლოდ საქმიანი ფუსფუსის ხმა და საამქროებიდან მომავალი ყურძნის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარების გაბმული ზუზუნილა მოისმოდა.

ქარხნის დირექტორმა მერაბ ხიდეშელმა აგვიხსნა, რომ ბოლო ხანებში ბევრი რამ ახალი და საგულისხმო გაკეთდა ქარხანაში. წელს თურმე მწყობრში ჩადგა ყურძნის მიღების ახალი განყოფილება, რომლის წარმადობა დღიურად 1200—1500 ტონა ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის არის გათვალისწინებული.

ცხადია, ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქარხანაში მოტანილი ყურძნის დროულად მიღებას და მანქანების გაუთავებელი რიგის შემცირებას.

ყურძნის შეუფერხებელი მიღება-გადამუშავებისა და ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფის მიზნით ქარხანაში დამონტაჟდა მაღალი წარმადობის გადამამუშავებელი ხაზები, ახალი მანქანა-დანადგარები, 80.000 დეკალიტრი საერთო ტევადობის დასაწდომი განყოფილება, გაიყვანეს მილგაყვანილობის დამატებითი ხაზები...

ყურძნის მიღების პერიოდში ქარხანამ 10 საათი უნდა იმუშაოს. ახლა ვიღას ახსოვს ეს გრაფიკი? ქარხნის მთელი კოლექტივი დილაბნელიდან შუაღამემდე მუხლჩაუხრელად დატრიალებს.

ჩვენი თვალით ვხედავთ, როგორ მხნედ, მონდომებით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით, გატაცებითა და სრული პასუხისმგებლობის გრძნობით დატრიალებდნენ ქარხნის თანამშრომლები.

ნაფარეულის ღვინის ქარხნის კოლექტივი ახალგაზრდულია. გავეცანით, გავესაუბრეთ მათ და ნათელი გახდა, რომ ისინი არაფერს ზოგავენ საერთო საქმისათვის, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ საქვეყნოდ ცნობილი ქართული ღვინის კიდევ უფრო სრულყოფაში, მისი სახელის განდიდებაში.

დიახ, სწორედ ასეთი მისწრაფებით არიან განმსჭვალულნი წარმოების მოწინავენი: გრიგოლ იორამაშვილი, მურთაზ კობიაშვილი, ნაზი წიქაძე, ლომზარ პაპუაშვილი და რომელი ერთი მოთვალოს კაცმა?

ქართული ღვინის ღირსების დიდი ქომაგი ნაფარეულის ქარხნის დირექტორი მერაბ ხიდეშელი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ამავე ქარხნის რიგითი მუშა იყო. თავდადებული შრომისათვის იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და საიუბილეო მედლით დააჯილდოვეს. წარმოებისაგან მოუწყვეტლად მერაბმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და 1974 წლიდან სათავეში ჩაუდგა ნაფარეულის ღვინის ქარხანას.

საქმის სიყვარულმა, ძიებამ, ცოდნის სრულყოფის სურვილმა მერაბ ხიდეშელი ისევ სწავლას დააწაფა. იგი ახლა მოსკოვის კვების მრეწველობის საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობს.

ქართული ღვინის ღირსებას წლების მანძილზე თავდადებით ემსახურება ქარხნის მთავარი მეღვინე შოთა მათიაშვილი. სწორედ ცოდნა, ახლის ძიება, ალღო და თავდადებული შრომა იყო ის საფანელი, რომელმაც მთავარ მეღვინეს საერთო სიყვარული მოუხვეჭა კოლექტივში.

... ორიოდე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ნაფარეულის ღვინის ქარხნის სტუმარი ვიყავი და ახლაც ნათლად, თითქოს კინოკადრებივით ცოცხლდება ჩემს მეხსიერებაში ყოველივე იქ ნანახი. ყოველივე იქ განცდილი.

ქართველმა მეზვრეებმა წელს დიდი გამარჯვება იზეიმეს: პირველად გადალახეს ნახევარმილიონიანი ზღვარი. მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს მათ წინაშე კიდევ უფრო დიდი მიჯნაა გადასალახი. ამ მიჯნის გადალახვას მხარდაჭერა და დაგვირგვინება სჭირდება. ეს საპატიო საქმე კი მეღვინეობის წარმოების მუშაკებზეა დამოკიდებული.

ქართველი მეღვინეები, ეჭვს გარეშეა, უფრო მეტი მონდომებით შეეჭიდებიან საქმეს, თავდადებით იბრძოლებენ ქართული ღვინის სახელისათვის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში წარმატებით გატარებისათვის.

**სოლომონ სამხარაული**

თარხან არჩვაძის ფოტო



ქართველმა მევენახეებმა სახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედის მესამე წელი: მევენახეობის კლასიკურ ქვეყანაში — საქართველოში ჩვენმა მეზვრეებმა წელს სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს და მევენახეობის ისტორიაში პირველად გადალახეს ნახევარმილიონიანი ზღუდე.

ამ საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეჰქონდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თითოეულ მშრომელს. სწორედ მათმა მონდომებამ, უამინდობასთან შეუდრეკელმა ბრძოლამ, თავდადებულმა შრომამ, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ განაპირობა დღევანდელი არნახული წარმატება.

- კოლმეურნეობის ვენახში.
- სოფლის დილა.
- რთველი სოფელ ზეინდარის საბჭოთა მეურნეობაში.
- დარეჯან მამასახლისი მეგობრებთან ერთად.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

# ფოტოობიექტივი მოგვითხრობს









ჩვენი ფოტოკორესპონდენტი ანზორ გოგოლაძე ამას წინათ ეწვია ვანის რაიონის ზეინდრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას.

მეურნეობის მშრომელებმა მართლაც რომ სახახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს წლევანდელი სამეურნეო წელი. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის, ხორცისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები.

არც ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანასა და ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებაში შეურცხვენიათ თავი.

ზეინდრის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში აბა ვის არ უყვარს მეხუთე აგროუბნის მეთექვსმეტე ბრიგადის მოწინავე მევენახე—კომკავშირელი დარეჯან მამასახლისი, რომელიც მეგობრებთან ერთად მუდამ მონდომებითა და ხალისით ეჭიდება საქმეს?

გამრჯე ქალიშვილმა სწორედ თავდადებული შრომით, ახლის ძიებით, საქმისადმი უზომო გატაცებით დაიმსახურა მთელი კოლექტივის საერთო მოწონება და სიყვარული.

შარშანდელი წელი დარეჯანმა საამაყო მაჩვენებლებით დაამთავრა: გეგმით გათვალისწინებული 1.680 კილოგრამის ნაცვლად მან თავის ნაკვეთზე 2.400 კილოგრამი ყურძენი მოიწია. კომკავშირელმა მუშამ ასევე გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის პარკის მიღების გეგმა — 25 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 30 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ჩააბარა.

ბრიგადის წევრებთან გივი მხეიძესთან, ნანუშა კვირიკაძესთან, მარო თათელიშვილთან და სხვებთან ერთად დარეჯანი წელს გაორკეცებული ენერგიით იბრძოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავის იუბილეს აუცილებლად შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებებით ხელდამშვენებულები უნდა შეგებებოდნენ.

საქმის წარმატების, ნაკისრი სიტყვის შესრულების თავიდათავი ყოველთვის შრომაა.

სწორედ შრომამ, თავდადებულმა შრომამ მისცა საშუალება დარეჯან მამასახლისს და მის მეგობრებს წარმატებით დაეგვირგვინებინათ მეათე ხუთწლედის მესამე სამეურნეო წლის გეგმები და ვალდებულებები.

ფოტოფირზე აღბეჭდილი კადრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ნაწილია იმ დიდი და თავდადებული შრომის, რომელსაც საბჭოთა მეურნეობის რიგითი მშრომელი, კომკავშირელი დარეჯან მამასახლისი ეწეოდა მთელი წლის მანძილზე.



# ვაზი ღვინო

მალე ნახევარი საუკუნე შესრულდება, რაც ვაზის უძველეს სამშობლოში — საქართველოში საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა ნოდარ ჩხარტიშვილმა გულდასმით მოგვითხრო მთელი კოლექტივის უკანასკნელი წლების მიღწევებზე.

— ძვირფასი მეცნიერული შენაძენია ვაზის ნამყენი ნერგის ავტომატიზებულ სათბურებში გამოყვანის ელექტროსტრატიფიკაციის მეთოდი, რომელიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივთან თანამეგობრობით შეიქმნა. აღნიშნული ტექნოლოგიით სანერგეებში ხარისხიანი ნერგის გამოსავლიანობა მნიშვნელოვნად იზრდება. ამჟამად ამ მეთოდს ფართოდ იყენებენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების, მეგობარი ბულგარეთის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების მევენახეები.

ინსტიტუტში შეიქმნა ვაზის სამყნობი მანქანა, რომელიც სამი დამოუკიდებელი აგრეგატისაგან შედგება. თითოეული მანქანა ფიზიკური შრომისაგან ათავისუფლებს ათობით მუშახელს და ზოგავს 1.500-მდე მანეთს.

წარმოებაში დაინერგა ყლორტების აღზრდის ახალი მეთოდი ფილოქსერა გამძლე ვაზის სადედეში, რომლის გამოყენებით მნიშვნელოვნად უმჯობესდება ვაზის განათების, აერაციის, ზრდისა და მომწიფების პირობები. საძირე მასალის გამოსავლიანობა 31 პროცენტით იზრდება და წარმოება დამატებით იღებს ჰექტარიდან 810 მანეთ შემოსავალს. დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა კაკლის ნამყენი ნერგის წარმოების პროგრესული ტექნოლოგია, რომელიც მეტად მარტივია არსებულ წესთან შედარებით. ერთი ცალი ნერგის წარმოებაზე 76 კაპიკის ნაცვლად იხარჯება 40-45 კაპიკი. სულ ახლახან დაინერგა ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ახალი ტექნოლოგია მულჩის გამოყენებით. ეს მეთოდი არა მარტო იცავს ნიადაგს ეროზიისაგან, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს შრომატევად სამუშაოებს, მისი დამუშავების თვითღირებულებას.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის სელექციონერებმა ვაზისა და ხეხილის სტანდარტული სორტიმენტის გაუმჯობესებაში.

უკანასკნელ წლებში წარმოებაში დაინერგა ვაზის მეტად პერსპექტიული ჯიში „თბილისური“, რომელიც ინსტიტუტის მუშაკებმა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის თანამშრომლებთან ერთად შექმნეს. მისი ავტორები არიან პროფესორი ვ. ქანთარია და დოცენტი ნ. ჩახნაშვილი. ეს ჯიში მიღებულია ძვირფასი ქართული ჯიშის ვაზის რქაწითელისა და ეგვიპტური „ალექსანდრიული მუსკატის“ შეჯვარებით. იგი მაღალ მოსავალს—ჰექტარზე 200 ცენტნერზე მეტ საუკეთესო ყურძენს იძლევა და საუკეთესოა სასუფრედ და ღვინის მისაღებადაც.

შეიქმნა აგრეთვე ვაზის სხვა ახალი ჯიშები: „მუსკატური“, „რქაწითელი“, „ვარძია“, „ივერია“, „კოლხური“; სტანდარტული ჯიშების გაუმჯობესების მიზნით გამოვლინებულია ოცზე მეტი მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანი კლონები და ვარიაციები, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „რქაწითელი № 40“, „კახური მწვანე“ № 12“ და „რქაწითელი ვარდისფერი“. ეს კლონები 30-40 პროცენტით მეტ მოსავალს გვაძლევს საწყის მასალასთან შედარებით და რესპუბლიკაში ვაზის სამრეწველო ჯიშების მოსავლიანობის გაზრდის ყველაზე საიმედო რეზერვია.

სტანდარტულ სორტიმენტში შეტანილია აგრეთვე ვაშლის ახალი ჯიშები „სინაპი“ და „ივერია“, რომლებიც თავიანთი უხვმოსავლიანობითა და საუკეთესო საგემოვნო თვისებებით საყოველთაო ყურადღებას იმსახურებენ.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ყინვისა და სეტყვისაგან ძლიერად დაზიანებული ვაზების დაჩქარებითი აღდგენისა და მათი მოსავლიანობის შენარჩუნების საკითხს. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული აგროტექნიკური ღონისძიებანი საშუალებას იძლევა მაღალი აგროფონის პირობებში იმავე წელსვე მივიღოთ ჰექტარზე 25-30 ცენტნერი ყურძენი, ხოლო მომდევნო წელს კი — სრული მოსავალი.

მრავალი ეკონომიკური კვლევაა ჩატარებული მეღვინეობის სფეროში: დამუშავებულია კახური, იმერული ტიპის ღვინოებისა და შამპანურის ბოთლური წესით დამზადების გაუმჯობესებული ტექნოლოგიური სქემა, კონიაკის დაძველების რაციონალური მეთოდი მუხის ტკეჩების გამოყენებით, ყურძნისა და ღვინის ანარჩევების გამოყენების სხვადასხვა პროგრესული მეთოდები.

მეცნიერული მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით გაშენდა და გაფართოვდა საკოლექციო ნარგაობანი. ისინი შეივსო ვაზისა და ხეხილის როგორც აბორიგენული, ისე ინტროდუცირებული ჯიშებით. ასე მაგალითად, თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთზე ვაზის 942 ჯიშია გაშენებული, აქედან 225 ქართული წარმოშობისაა. სკრის საცდელი სადგურის პომოლოგიურ ბაღში ხეხილის სხვადასხვა ჯიშიდან 111 ადგილობრივია. ინსტიტუტი სისტემატურად უშვებს კაპიტალურ შრომებს მევენახეობასა და მეღვინეობაში, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ არა მარტო სპეციალისტებს, არამედ პრაქტიკოსებსაც.

სხვადასხვა ზონებში საცდელი საქმიანობის გაფართოების მიზნით, ინსტიტუტის დასაყრდენ პუნქტებს დაემატა წითელწყაროს დასაყრდენი პუნქტი, რამაც დიდად შეუწყო ხელი ალაზნის მარჯვენა ნაპირის ათვისებას, სამრეწველო ვენახებისათვის. ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა საკონსტრუქტორო ბიურო „საქმშენვენსაპროექტი“; მისი ამოცანაა მეცნიერულად დასაბუთებული პროექტების შედგენა, რაც დიდად უწყობს ხელს რესპუბლიკაში ვენახებისა და ხეხილის ბაღების გეგმაზომიერ მეცნიერულ დონეზე გაშენებას. სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი მოთხოვნილებების საპასუხოდ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ვაზის პროგრამირებული მოსავლის მიღების ლაბორატორია და მასობრივი ანალიზების ცენტრალური ლაბორატორია.

ინსტიტუტი კვლევას განაგრძობს და უახლოეს დროში დადებითად გადაწყვეტს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა: ვენახების სეტყვისაგან დაცვა, ვაზის ყინვაგამძლეობის ბიოლოგიური თავისებურებანი მექანიზაციის ფართო გამოყენებით, ყურძნის პროგრამირებული მოსავლის მიღება და ა. შ.

ქართველმა მეცნიერებმა მკვეთრად გააფართოეს ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების მონათესავე ინსტიტუტებთან; კომპლექსურად მუშავდება საკითხები 20 სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებასთან. მტკიცე მეგობრობა დამყარდა აგრეთვე უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის მეცნიერ-მუშაკებთან და სპეციალისტებთან. მათთან თანამეგობრობით დამუშავდა ბევრი პროგრესული მეთოდი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების დაკვეთები სხვადასხვა მეთოდის დანერგვაზე. ამჟამად, ხელშეკრულების საფუძველზე, ინსტიტუტი წარმოებას უსრულებს მთელი სამუშაოების 25 პროცენტს, მაშინ, როცა წინა წლებში აქ სამუშაოები ათ პროცენტს არ აღემატებოდა. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენ მჭიდრო ურთიერთობაა დამყარებული მეცნიერებსა და წარმოებას შორის.

ყოველ დილით იღება ინსტიტუტის ლაბორატორიებისა და კაბინეტების კარები. თავიანთ სამუშაო ადგილს გულდაგულ მიაშურებენ შრომისმოყვარე ადამიანები. ისინი მთელი დღე დაძაბულ კვლევაში, ახლის ძიებაში არიან, ილწვიან, ზრუნავენ საერთო წინსვლისათვის. განა მათი წვლილიც არ არის იმ დიდ, დღემდე უმაგალითო გამარჯვებაში, რომელიც ქართველმა მევენახეებმა მოიპოვეს წელს?

მეცნიერ-მუშაკებს წინ კიდევ უფრო ძნელი სამუშაო; ახალი პრობლემების გადაჭრა ელით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა დასახა ამოცანა — ამაღლდეს მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა — სოფლად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი — ამ ამოცანას ჩვენი მეცნიერები, ეჭვს გარეშეა, კვლავაც პირნათლად გაართმევენ თავს.

**ამირან მექვაბიშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

კარლო კობერიძე

# სიძე-სიმამრობანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან

„ჩვენებური მოთხრობები“

კარის სახელურზე ქაღალდის ნახევი ეკიდა, თხელი ქაღალდის ნახევი კი არა, საშარვლეს ან საკაბეს რომ გვიხვევენ ხოლმე მაღაზიაში, მეორე, სურსათის გასახვევი, მუყაოს რომ ჰგავს ფერითაც, ისა: ვენახში მივდივარ, ბავშვებიც მიმყავს — ორიოდე მწკრივილა დამრჩა ცაგაუხსნელი, იმასაც მოვრჩები და ვიდრე უარესად ჩაიხუთება, ამოვალო, თუ ჩამოხვიდე, შვილო, შიმშილით არ დაცოტავდე, ნუ დაგველოდები, მაცივარშია ყველაფერი, გასაღები, ეგე გაზქურაზეა, ასანთის ნამწვის ჩასაყრელ კონსერვის კოლოფშიო.

ნაღველი შომაწვა, ის უუმური ნაღველი, ამ ბოლო ხანს სოფელში ჩამოსვლისას რომ დამჩემდა და მაცოდვილებს. სხვა დროს, ალბათ, გამეცინებოდა, მაგრამ ახლა წლები მომემატა და ფიქრი მასწავლა, ახაკიანი კაცის ფიქრმა კი სადარდელის ასავალ-დასავალი უფრო იცის.

ამოვიღე ქაღალდი, მაგიდაზე გავშალე, საგულდაგულოდ გავასწორე, დავკეცე და, ემანდ, აქ არ დამრჩეს-მეთქი, მაშინვე ჩავდე საკვოიაჟში. მერე გასაღები ამოვიღე კონსერვის კოლოფიდან, ვიწვალე, ბევრი ვიწვალე და ვერაფრით ვერ გავაღე კარი. ბოლოს, ისე სხვათა შორის მივაწექი და კარი ჭრიალით არ გაიღო? ვდგევარ ზღურბლზე და საცაა ცრემლით ამევსება თვალები, თუმცა მალევე მიმშვიდდება აჩქარებული სუნთქვა: დრომ დანდობა არ იცის, გულჩვილობისა არაფერი გაეგება — ერთი წელიც, მხოლოდ ერთი წელიც და ოთხმოცისაა-მეთქი, ვიტყვი; თვითონ კი მალავს. მაგრამ, აი ოცდაათიან წლებში გაცემულ დაბადების მოწმობას ვერაფერი მოუხერხა, ვერაფრით მოაფარა ვერსად, ისევ იმ ოცდაათიან წლებში ნაყიდ ხელჩანთაში დააბრუნა. მე აღარ მჭირდება — ერთხელ დავხედე და მეყო, მეხსიერება, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით მაქვსო.

ჩემი შვილები კი მეზობლებსაც და სტუმრებსაც ერთნაირი სიხარულით მიურბენინებენ ხოლმე:

— აი, ბებიას დაბადების მოწმობა!

— ვერ უყურებ?!

— ეხლანდელი ბაღლები, ეხლანდელი! — ჯავრობს დედაჩემი, — შეიტანეთ შინ, თორემ, ე, ავდექი და მოვძებნე ცოცხი! — უხიდად წამოიწევს, — რა ნახეთ მაგაში ქვეყნის მოსაფენი, თქვე ოხრებო!

მაშინ ის მეზობელი თუ სტუმარი ეუბნება:

— შენ კიდევ ვითომ ბავშვობა არ გამოგივლია!

— ვინ ამბობს ,არ გამომივლიაო, მაგრამ ეხლანდელი გამოსაზრდელები, ეხლანდელი!..

— რას იზამ, ბავშვი ბავშვია, ყოველთვის!..

ქალიც ქალია ყოველთვის: ოცდაათისაც და ოთხმოცს მიტანებულიც ერთნაირი სიჯიუტით მალავს ასაკს — ჩავლილ წლებზე დარდს, და ამით სწორედ იმ დარდზე მიგვანიშნებს...

— ის როგორღა იყო, შენ და სერგო პაპამ თხილი რომ მოიპარეთ? — იცინის სულ პატარა და თვალი გაქცევაზე უჭირავს, უკან-უკან იწევს.

— ეჰ, ის სიდუხჭირე სჯობდა მაინც! — ამბობს დედაჩემი და ნაღველიც ეძალება ერთბაშად.

მაგრამ ეს ნაღველი, საბედნიეროდ, ეუცხოებათ ბავშვებს, მათთვის ბებიას მოგონებანი მხოლოდ და მხოლოდ გასართობად გახსენებული სიცილია, რასაც თითქოს საერთო არაფერი აქვს წუხილთან და იმ ცრემლთან, ხშირად თვალების ტკივილს რომ აბრალებენ მოხუცები... მოგონებები ჩვენ, დიდებს გვაფორიაქებს მარტო, და კიდევ იმ სადარდელსაც ვიხვედრებთ გულზე, ერთ დროს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს რომ შემოაწვებათ. ასეა: მათი ამ ქვეყნად მოსვლის მიზეზი რაკი ჩვენა ვართ, მათი ცოდვაცა და ვარამიც ჩვენ უნდა მოგვეკითხოს. ასეთ ვარამს ზოგჯერ სიკეთის სათავესაც ეძახიან. ვინ იცის, იქნებ, მართლაც დარდია სიკეთის უპირველესი საწყისი?! იქნებ, მართლაც ამიტომ აქვს სიცოცხლეს აზრი, რომ ერთადერთი ნათელი ჭეშმარიტება, მისი გარდაუვალი დასასრული სიკვდილია და ეს ადრევე ვიცით?!. იქნებ, ადამიანებს სწორედ ამ დასასრულის ცოდნა უბიძგებს დანაშაულისაკენ?!. ქონებრივ და თანამდებობრივ გალაღებას მანამდე ადევს ლარის ფასი, ვიდრე იმ ქონებისა და თანამდებობის პატრონს ჯანი შეერყევა. აქედან უკვე დარდი იწყება, ჯავრის სივაგლახე, ვინაიდან ხვდება: ორასი წელიც რომ იცოცხლოს, მის ცხოვრებას დროებითი ეთქმის მაინც! დროებითობის შეგნებამ სიკეთემდე უნდა მიგვიყვანოს, მაგრამ ხშირად გვავიწყდება ეს უბრალო ჭეშმარიტება, გვავიწყდება და, სამწუხაროდ, მაშინ გვახსენდება, როცა უკვე ძალიან გვიანია — ცხოვრების თავიდან დაწყება მხოლოდ ფიქრში, ოცნებაში შეიძლება, ამიტომაც — საცოდაობაა. საერთოდ, სიბერის დასაწყისი ჩადენილი ცოდვა-მადლის აწონ-დაწონის დასაწყისია, მონანიების დასაწყისია. მონანიებით კი ის ინანიებს, ვისაც ცოდვა ჩაუდენია. მაშ, ნუ შეგშურდება ნურავისი!.. მერე? მერე ის მადლიანი აქლემიც დაიჩოქებს შენი სახლის კართან და უკიდეგანო სიბნელეც ჩამოწვება.

ფარდა გავწიე, ფანჯარა გავაღე და გერაც დავინახე: გულაბთან იდგა და მზესუმზირას აკნატუნებდა.

— ჩამოსულხარ?

— რაღაც წყენას ვერ გამჩნევ?

— არ უნდა წასულიყავ-მეთქი!

— დედიჩემის გაქეზებულსა გავხარ!

— თვალში მაკლდები...

ვაზისუბნელია. აღარ მახსოვს, როდიდან ავეტორღიალეთ ერთმანეთს, დანარჩენი თითქოს გუშინდელი ამბავია. რაკიღა მეზობლად მიუხურეს, ადგა და ჩემთან მიაშაბათა თერთმეტი კლასი — ორმოცდაექვსი ნომერი ფეხსაცმლითა და ჯიბეებში ჩაწყობილი ხელებით.

საჩეხეში გრძელ სკამზე ვსხედვართ და ისეთ შორეულ რაღაც-რაღაცეებს ვიხსენებთ, თითქოს რისი ორიოდე დღე, ბარე ხუთი წელია არ გვინახავს ერთმანეთი.

შარაზე ისე ჩაიქროლა „ჟიგულმა“ რა ფერისა იყო, ვერ მოვკარით თვალი. ამ ბოლო ორ წელში ორჯერ მოვხვდი ავარიაში, ორჯერვე ბეწვზე გადავრჩი. მას აქეთ შევშინდი, შევშინდი — მანქანაში რომ ვჯდები, სპიდომეტრზე მეწებება თვალი! როგორც კი ისარი სამოც კილომეტრს გადასცდება, შიშით ეკლები მწიწკნის. ზოგჯერ ავყვირდები ხოლმე, სიკვდილს მერეც მოვესწრები, ახლა საქმე მაქვს და ნელა ატარე-მეთქი. ზოგჯერ კი ისეთი ვინმე ზის მანქანაში, მეუხერხულება თქმა და შიში მაიძულებს, რაიმე მოვიმიზეზო გასაჩერებლად და დასამშვიდობებლად.

— შენი გამკეთებლის, გამყიდველისა და მყიდველის სუყველაფერი! — ვიღაცამ შეუკურთხა მამაპაპურად, — თქვენი შიშით გზაზე ვეღარ გამივლია, მე თქვენი!..

— შალალო მოჩლახუნობს, — გაიცინა გერამ, — ლექსიკონით ვიცანი.

მართლაც, შალალო იყო — ვენახიდან მოდიოდა, თოხი გაედო მხარზე. უკან ცოლი მოჰყვებოდა, ახლახან შერთული მესამე ცოლი — მწვანილით თავმობმული, შაბიამნით გალურჯებული ვედრო ეჭირა ხელში.

რომ გაგვიპირისპირდა, გერა გაეხმაურა:

— ისევ გარეთა ხარ, ოსტატო?!

შალალო შეჩერდა, ხელმოჩრდილვით გამოგვხედა:

— ამ გზაზე სიარულს ციხე არა სჯობდეს, კაცი არ ვიყო — იქ მეტი შანსია გადარჩენისა!.. მოდი აქ! — უკან არ მიუხედავს, ისე დაუძახა ცოლს და ჯერ თვითონ შევიდა შარაზე გაფენილ ლელვის ჩრდილში, — რათა სცდებით, კახავ? — თოხის ტარზე ჩამოაყრდნო მხარი, ფეხები გადაიჯვარედინა.

— ვენახშია დედაჩემი, საცაა ამოვა და მერე მივხედავთ მაგ საქმეს.

— საით გივლია? — ეცინება გერას.

— საქორწილო მოგზაურობაში გახლდით, — ცოლს მხარზე შეახო ხელი,— აეს ჩემი მესამე ნახევარია!

— უკვე ვიცი.

— საიდან იცი, დაბდურო?

— ახლა არ მითხარი?

ცოლმა დაიმორცხვა და ჩემი ძველი სახლის კედელს მოეფარა.

— სად მიხვალ, დედაკაცო? — წაუტურტურა შალალომ. ეტყობა, ცოლმა რაღაც ანიშნა ხელით, — ჰოო, — ჩაეღიმა, — ეგრე, როგორც მოვილაპარაკეთ!

— აქეთ გამოიწიოს შენმა ცოლმა, — ხელს იქნევს გერა, — დამანახვე ერთი!

— არ დაენახვო, ქალო! — ვითომ ჯავრობს შალალო, თოხს ულერებს, — ეგ იგეთი ნაგავია, თუ მოეწონე, ძმაკაცობას ფეხებზე დაიკიდებს — შენს თავს წამართმევს, ჰოდა, თეთრ დათვებთანაც გამომაცხადებს ყურებიანი ქუდით!.. არ დაენახვო!

ქალი მორჩილად გამოდის ლელვის ჩრდილში, სიცხე სიცხედ და სირცხვილითაც იწვება — თავი ვერ აუწევია მაღლა.

— სადაური ხარ, რძალო?

— ლაგოდეხელი.

— მერე, პატრონი არ გყავდა, ვის მოჰყვებოდი? — ხითხითებს გერა.

— მოვიტაცე! — შალალოც ხითხითებს, — თურმე გამეხუმრა: ციხეში აღარ გაგიშვებო, მე დამთხვეულს ეხლაც მართალი მგონია!.. თქვენ რა გეშველებათ, თქვენ ჩემზე უბედურებო, თუ სადმეა ბედი, ისიც მარტო მე მქონია: ცხოვრობენ, ცხოვრობენ — ხარაბუზადახვეული ჩონჩორიკივით არიან აფუებულები! ჩემმა სიდედრმა მარტო წინა კვირას სამი კრუხი დასვა, იმის წინა კვირას ხუთმა იხვმა ერთიმეორეზე ასსამი ჭუჭული გამოჩეკა, თორმეტი ბატი დღე-დღეზეა, საცაა მოექცევათ!.. გეყურებათ?! ეხლა აქეთ იკითხე! ვენახი მაქვს, ვენახი, ტურა ვერ გეძვრება შიგ, იგეთი ბალახია წამოშლილი! გავ-

თიბავ, მყავდეს — ცამეტი ფურის სარჩო-საბადებელია! გაღმა ამათი ქონება, გამოღმა — ჩემი, დასკდით შურით!.. თქვენ კიდევ ეგრე ჯდომით რა „ჟიგულსაც“ იყიდით, ცარიელი მინანაობდეთ და არ გამიჩეროთ, თუ დაგემდურროთ, არც აეს მესამე ცოლი შემრჩეს!.. წამო, ქალო, თორემ ამათი ყურებით სხვა ვინ აშენებულა, ჩვენ ავშენდეთ! — თოხი მხარზე გაიდო და ამაყად გააბიჯა გზაზე.

— მოიცა, შალალო! — ეძახის გერა, — მეც მათქმევინე რამე!

— შენი კი არა, მამაჩემის სახარებაც აღარ მეყურება!..

— ასეთი ნათელი ბიჭი და ქურდი?! — თითქმის ჩურჩულით ვამბობ.

„ნეტავი მარტო ვიყო ახლა და ვიფიქრო, ბევრი ვიფიქრო — იქნებ, ამ უთავბოლობას რამენაირად მოვუნახო გამამართლებელი მიზეზი, თუმცა, ღმერთმა დასწყევლოს — ჩემი თავისთვის ვერ მიშველია ვერაფერი, სხვას კი ვებღაუჭები მზეში გამოსაყვანად!“

— აბა, დაბდურისა და დოყლაპიას ქურდობა სად გაგონილა? — მიწას დაშტერებია გერა, — დაიმახსოვრე, არასოდეს აღარ იქურდებს!

— ვითომ?

— დედა დაუავადმყოფდა.

ფიქრი გვამუნჯებს ორივეს. არ ვეკითხები, მაგრამ ვიცი, ისიც დედაზე ფიქრობს, მოხუც დედაზე. საერთოდ, ამ ქვეყანაზე ვერსად ვერასოდეს ვერ ნახავ შვილის ბედით კმაყოფილ დედას — მარადიული უკმაყოფილების, ტანჯვის სიმბოლოა დედა. რა თქმა უნდა, ღირსეულ დედებზე ვამბობ, ვინაიდან, სამწუხაროდ, დედაც შეიძლება იყოს შემთხვევითი — დაუმსახურებელი ტიტულის მქონე, და რაკი მქონეა, ბუნებრივია, მაძიებელიც იქნება... შვილის გაჩენა მხოლოდ ბუნების კანონზომიერებაა. ეროვნული ღირსება, თავმოყვარეობა დედის ხელებში ფართხალებს, დედის ძუძუსა წოვს. დედები ქმნიან ისტორიას, ყოველგვარ სიკეთეს დედები უდებენ სათავეს; მაგრამ ომსაც დედები აჩაღებენ და მოსამკელსაც აკი უპირველესად თვითონ იმკიან. ნამდვილად სავალალოა ერთი კეთილშობილური სიტყვა — დედა რომ აერთიანებს ყველას, თუმცა ეს კიდევ ცხოვრების კანონზომიერებაა...

— საით გივლია? — ფიქრიც მომბეზრდა და უფრო იმიტომ ვეკითხები გერას.

— ახლა სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი: გაღმა ვიყავ, სალდათიდან დაბრუნდა ნათესავი და გავაკითხე.

— მერე, ასე მშრალად გამოგიშვეს?

— ამ გაგანია სიცხეში რა დამალევინებდა! წუხელ კი, იცოცხლე, ჯანი დავიბეგვე სმითა და სიმღერით!.. საამისო მიზეზი ნამდვილად გვქონდა — გიჟი გავგზავნეთ და, ჰმ, დალაგებული არ დაგვიბრუნდა?! დარჩიო, მეხვეწნენ. დავიუარე — რაკი წამოვდექი, წამოვდექი!.. აქ არ მეგულებოდი, თორემ კაცს გამოვაფრენდი შენს გამოსაყვანად. ისეთ ამბავს მოჰყვნენ, ისეთ უცნაურობას, მარტო ჩვენებური, ერთი შეხედვით — ურჯუკი, მაგრამ ხალხის თვალ-ყურის ჩურჩულ-ბუზღუნის ანგარიშში ჩამგდები, ნაღდი კაცი რომ მოიფიქრებს. შენს ოჯახად თუ არ მიგაჩნია სოფელი, პატიოსნებასა და კაიკაცობაზე ხმა არ ამოგეღება... აი, იმ ბიჭს, ვისაც ეს ამბავი გადახდა, სალმით მაინც არ ვიცნობდე, არამც და არამც არ დავიჯერებდი!.. მოკლედ მოვკვდი წუხელ სიცილით. ამ დილით კი აღარ მომჩვენებია სასაცილოდ, პირიქით — ჯერ დარდი მომაწვა, მერე — კეთილი სიხარული. მოვდივარ გაღმიდან და ვნატრობ, ნეტა, შინ დამხვდეს, ვიდრე გულიდან გადამივარდება, მოვუყვები, იქნებ გამოადგეს-მეთქი. შოფერმა ვერ მოზომა და ეგერ, შენი ძველი სახლის იქით, ჩასახვევთან გამიჩერა ავტობუსი. ფეხი ავაჩქარე. გამოვიხედე: ჩამიჩუმი არ ისმის. არც დედაშენი ჩანს, არც შენი ბალღები. მაგრამ ქათამი დგას საჩეხში და ხან ერთი თვალით იხედება კარისკენ, ხან მეორეთი. მაშინვე შემოველ ეზოში...

— რაო, ქათამმა? — მართლა ვერ გავიგე.

— შინ არიანო. ქათამი დაკეტილ კარს არასოდეს არ მისჩერებია დაუინებით... ჰოდა, შემოველ ეზოში და ფანჯარაც გამოაღე. ახლა მოგიყვები იმ ამბავს. ვიცი, დაწერ, მაგრამ ისე მაინც დაწერე, ნაღველი დაჰკრავდეს — რა დროს სიცილია, თუ ძმა ხარ, თავისი სიამოვნების იქით თითქმის ვერაფერს ხედავს ხალხი!..

— სხვასაც ხედავს.

— მაგალითად, ვინ?

— შენ.

— მართალია, კი ხედავენ თითო-ოროლანი და, იმ ერთი მერცხლისა არ იყოს, დაველოდები, რანაირ გაზაფხულს მოიყვანენ. ასე და ამგვარად: იყო ერთი კარგი ბიჭი და კარგი გოგოც შეუყვარდა. რთველში გაიცნეს ერთმანეთი — გოგო შორეულ ნათესავს ესტუმრა, იმ ბიჭის მეზობელს. ახედ-დახედეს ერთმანეთს, ლოყები აეტკრიცათ და ლაპარაკიდან ჩურჩულზე გადავიდნენ. თურმე ორივენი ერთ წელს დაიბადნენ, მომავალ წელს ამთავრებენ სკოლას და ქალაქისაკენ არ გაურბით თვალი, გოგომ — დედისერთა ვარ, არ გამიშვებენო, ბიჭმა — მაინც ვერ მოვეწყობი და რაღა ძალააო. მომდევნო წელს დაამთავრეს ათი კლასი და, ვალი ვალიაო, ბიჭი მაშინვე წავიდა სალდათში. წერილები და სურათები მიდი-მოდიოდა, გოგო ბიჭის მისამართზე გზავნიდა, ბიჭი — გოგოს მესაიდუმლესთან. ოცნებითა და სიზმრებით გაჯანჯლდა ორი ზამთარი: აქეთ ჩვენებური, იქით — ციმბირული და ათკილომომატებული დაბრუნდა ბიჭი სოფელში. შეხვდნენ ერთმანეთს: ილაპარაკეს, იჩურჩულეს. მერე გოგომ თავის მშობლებს გაანდო — ვთხოვდებიო, ბიჭმა თავის მშობლებს — ვქორწილდებიო. აქეთაც გაუხარდათ, იქითაც, და-



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

გიშავებიათ, უჩვენოდ რომ გადაგიწყვეტიათ, მაგრამ მამაპაპური ადათია და წესიაო, ვაჟის მშობლები ქალის მშობლებს ეწვივნენ ოჯახში — კეთილი იყოს ჩვენი გაცნობაო. გაიშალა საგანგებო სუფრა, ითქვა საგანგებო სადღეგრძელოები და ბოლოს სამამამთილომ გაბედა:

— აქა ვართ და ბარემ დროც დავთქვათ, ნიშნობას როდის გადაიხდით და პატარძალს როდის გაგვატანთო?!

— რას ბრძანებთ, აქეთ უნდა გამოგვატანოთ სიძეო! — გაეღიმა სასიმამროს.

ჯერ ეგონათ ხუმრობსო, გვესიყვარულებაო — ვაჟის მშობლებსაც გაეცინათ, მაგრამ ახლა მოღუშულმა რომ გაიმეორა, მერე კი გაბრაზდნენ:

— როგორ გეკადრებათ, ეგ ერთი ბიჭი გვყავსო! — წამოხტა სადედამთილო.

— გოგო ვილასიაო? — ჰკითხა სასიდედრომ.

—ვინც წაიყვანს, იმისიო!

— თქვენც ადექით და ზესიძე იშოვეთო!

— ეს სადაური იწილო-ბიწილოაო?!

შეუვნენ-შემოყვნენ და კინაღამ ჩაიშალა სასიკეთოდ მიტანებული საქმე. მაგრამ ჯერ საპატარძლოს შეხედეს, მერე — სასიძოს და თავდაპირველად სამამამთილოს შეეცოდა ორივე:



# სიცოცხლე გრძელდება

გურამ კორძახია

იმ ზაფხულს შუაფხოში ვიყავით. შენ ჩამოსვლას ველოდით — ბინდაურთას უნდა ავსულიყავით სათიბად.

ღამით ჩამოხვედი, ზურგჩანთა გეკიდა ხორბლით სავსე — შენი საგზალი ჩამოიტანე. ჩვენები ძალიან გაამხიარულე ამით.

მთაში ოთხ დღეს ვთიბეთ. შენ გზოგავდით, როგორც სტუმარს, როგორც გამოუცდელს. ერთი-ორჯერ სანადიროდაც წავედით მისედურის თავს. საღამოობით რეზინს ვწვავდით გველების გასაფრთხობად და ნათიბ ბალახში ვიძინებდით.

შუაფხოში დაბრუნებისას თევზაობა და არაგვში ბანაობა გველოდა, საღამოს ხუმრობა და საუბარი ბოლსა და სითბოში რძის ქვაბთან. სწორედ იმ ღამით გადაწყვიტე შენ სადიპლომო თემად ვლადიმერ მაიაკოვსკის ქანდაკება გამოგეძერწა. ეს იყო სამი ათეული წლის წინათ.

მას შემდეგ რამდენი ზაფხული გავიდა... ბინდაურთას აღარავინ დადის სათიბად. შენ რა ხანია აღარ ხარ ჩვენთან... დღეს აღსრულდა შენი ოცნება — შენს საყვარელ თბილისში დაიდგა შენი ხელით ნაძერწი, შენი საყვარელი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ქანდაკება. მთელმა საქართველომ გაგიხსენა ამ დღეს, როგორც ნიჭიერი, კეთილი, სიცოცხლით სავსე, მაიაკოვსკზე უსაზღვროდ შეყვარებული მოქანდაკე გურამ კორძახია.

ქართველი მხატვრები, ქართველი საზოგადოებრიობა არასოდეს დაივიწყებს შენს სახელს, შენი შეწყვეტილი სიმღერა დღესაც გრძელდება, გურამ, გრძელდება შენი სიცოცხლე, ჩემო გურამ!

**ირაკლი ოჩიაური**

— რაც არის არის, ეგრე იყოს, მე ამათ ბედს არ გავუმრუდებ, ოღონდ მთლად არ წამართვათ შვილი; რა შორს ჩვენა ვართ, გადმოვა — შუბლი არ დაიქეცოთ, გადმოვალთ — ლოდი არ დაიდოთ გულზეო!

ნიშნობა ქორწილად იქცა, ქორწილი — ნიშნობად.

სამამულე რქა აღმოაჩნდა სიძეს, ხელსა და ჯანს არ ასვენებდა — შოფერი იყო და საქმეც არ ელეოდა. ნათესავთან ნათესაობა არ ეშლებოდა, მეზობელთან — მეზობლობა, სტუმართან — მასპინძლობა. სიდედრ-სიმამრი თვალებში შესციცინებდა, დაუფიქრებლად არ ვაწყენინოთ რამეო. მეგობარ-ძმაკაცებიც ისეთი ჰყავდა, სულში ჩაიძვრენდა კაცი. მოვიდა და ერთბაშად გააახალგაზრდავა ოჯახი. სახლი გასწი-გამოსწია სიგრძე-სიგანეში, ავეჯი გაახლა, ღობე-გალავანიც. სამ წელში მანქანაც დაიდგა და ორი ბიჭის სამყოფი რძე-მაწვნის ყიდვა-ზიდვას მეწველი ფურის ყიდვაც ამჯობინა. სიმამრი აღარ უჩიოდა გულის ფრიალს და აღარც ჯიბე ჰქონდა გამოტენილი რეცეპტებით. აღარც სიდედრი დადიოდა მკითხავთან დანა-ნახშირით, იქნებ, თავის ტკივილმა გამიაროსო. ბიჭებმა ჯოხის ცხენებზე შეჯდომა რომ ისწავლეს, გარჯა დაუცოტავდა დედას, საქმე-სამსახურში წასულებს დილითვე მოუმზადებდა ვახშამს, შვილებს მეზობლის გოგო-ბიჭებთან გაისტუმრებდა სათამაშოდ, ვიდრე არ მოშივდებოდათ და თვითონ არ მოაკითხავდნენ, გარეთ არ გაიხედავდა: ან ტელევიზორს უჯდა, ან სასიყვარულო რომანებში ჰქონდა თავი ჩარგული. ერთ ზაფხულსაც ვიღაც ახალგაზრდა გეოლოგი გამოჩნდა — მეზობლად დადგა მდგმურად და, რაკი იმ მეზობელს ტელევიზორი არა ჰქონდა, სიძემ ერთი ორჯერ გადმოიყვანა, ფეხბურთიც აყურებინა და ჰერიც დაალოცვინა. მერე და მერე გაშინაურდა, დაუძახებლად აახმაურებდა ხოლმე კიბეს. ეს ამბავი აინუნში არ მოსდიოდა სიძე-სიმამრს, მარტო სიდედრმა შეიკრა შუბლი. გაუკმეხდა. თავაზიანმა სტუმარმა არ შეიმჩნია მასპინძლის სოფლელობა...

ერთხელაც შორეული რეისიდან დაბრუნდა სიძე, შემოვიდა სოფელში და რაღაც არ ეჰაშნიკა შემხვედურთა დუმილი, თვალის არიდება, დამცინავი ღიმილი. მივიდა შინ და გადაირია კაცი: იმ შუადღისას სიდედრი ლოგინში იწვა, სიმამრიც. ცოლი მოიკითხა — ხმა არ გასცეს. ბავშვები მეზობელთან არიანო. დაუძახა, მოიყვანეს — სიხარულით ეცნენ მამას — დედა აღარ გვყავსო. მაშინვე გაიგო — იმ ქალაქელ გეოლოგს გაჰყოლოდა. ახლა გაახსენდა, თავის სოფლელობას რომ სწყევლიდა ცოლი. თავზარი დაეცა — გაშრა, გახევდა. დიდხანს ვერ გაარკვია, ცხადი იყო თუ სიზმარი. მერე გაიფიქრა, სირცხვილით სადღა გამომეყოფაო თავიო, მეორე ოთახში გავარდა, მაგრამ თოფი აღარ დახვდა იქ. უკან რომ მობრუნდა, მობუზული შვილები დაინახა და სიმწრის ცრემლიც წამოსცვივდა. დაიხარა, ორივე აიყვანა, ეზოში ჩავიდა, მანქანაში ჩასვა და ვიდრე გზაზე გავიდოდა, სხვა „ჟიგულმა“ შეასწრო ჭიშკარში. მანქანიდან სამნი გადმოვიდნენ — მისი მეგობრები. საჭეს ვინც უჯდა, იმ ბიჭმა გაუწოდა ხელი:

— მომეცი გასაღებიო!

— გამიშვი, თუ ძმა ხარო! — ხელზე ხელი აუკრა.

— წასვლას ვინ გიშლის, მაგრამ ამ გაუბედურებულ ხალხს ვის ანაბარა ტოვებო?!

— ეგენი საიდანღა არიან ჩემიანები?! სახლ-კარიც მაგათია, მაგათი ფუძე-საძირკველია, ჩემია და დამითმიაო!

— წადი, მაგრამ იცოდე, სამი დღეა თავი არ მიგვიდვია ბალიშზე, ლუკმა არ გაგვიტეხია დაგემოვნებით, გადავანგრიეთ ქვეყანა, იმათ ასავალ-დასავალს ვერ მივაგენით, მიგვეგნო, — ერთმანეთს წავაკლავდითო!

— ნეტავი, რა დავუშავეო?! — მარტო ეს ჩაილაპარაკა და საჭეზე ჩამოდო თავი.

მოვიდა სიძის მამაც, შვილს ღიმილით მოუთათუნა მხარზე ხელი:

— გულს არ აჰყვე, შვილო, შენ ვინა ხარ, ქალისა ბრძენსაც ვერაფერი გაუგია, მითუმეტეს — რეგვენი ქალისაო!

დატრიალდნენ: აქეთ სიძე, იქით — სიძის მეგობრები, რაიონი მაინც რაიონიაო, პროფესორები ჩამოჰყავდათ ქალაქიდან. გასინჯავდნენ: ნერვიულობის ბრალიაო. სიდედრი გაუთავებლად ტიროდა. იმდენი იტირა, ცრემლი გაუშრა. სიმამრი ოხვრით იხვეწებოდა, ერთი კვირით წამომაყენეთ, მარტო ერთი კვირითო. ექიმები, ათასნაირი წამლები, ნუგეში — წამოაყენეს.

— ახლა შენ მიხედე შენს თავსაც და მაგასაცაო! — უთხრა სიძემ, თავისი და შვილების ტანსაცმელი მოხვეტა.

— სამი დღეც მაცალეო! — შეეხვეწა სიმამრი.

მაინც ხათრი ჰქონდა, დათანხმდა.

საგარეო ტანსაცმელი ჩაიცვა სიმამრმა და სადღაც წავიდა.

სამი დღე უარესად დაიძაბა სოფელი — ნეტავი რა მოხდებაო.

სიძე ფიქრობს — უეჭველად მოკლავსო.

სიდედრი ფიქრობს — ნეტავ, ცოდვას რატომ იდებს, ორიოდე თვე გაივლის და თვითონ მოიკლავს თავსაო.

მესამე საღამოს დაბრუნდა სიმამრი ერთი თავისი კბილა კაცი მოიყვანა, ერთი ლამაზი, ათქვირებული გოგო და ერთიც იმ გოგოზე მოზრდილი ბიჭი სიძეს გააცნო:

— ეს კაცი ჩემი ძმადნაფიცია, გოგო და ბიჭი ამისი შვილები არიანო. მთელი სამი დღე ვეხვეწები და როგორც იქნა, დავითანხმეო — აეს გოგო დღეიდან ჩემი შვილი და შენი ცოლი იქნებაო!

სიძეს ხარხარი აუტყდა.

გოგომ ღიმილით მიაბრუნა გვერდზე თავი.

— იმას ხომ სჯობიაო?! — ჰკითხა სიმამრმა.

სიძემ არაფერი უპასუხა.

და მაშინ ეზოდან მანქანების საყვირი მოისმა. სიძემ გადაიხედა, ხედავს სატვირთო მანქანიდან ჩამოჰყავთ აჭყვირებული გოჭები. ფეხებგაკრული ქათმები, ნავივით გავსილი დეკეული. ეზოში გარბი-გამორბიან სიძის ძმაკაცები. თანდათან ემატებიან მეზობლები; უცხო ხალხი მოჩანს, უცხო მანქანებიც.

სიძე ღია ფანჯარასთან დგას და იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

— რას იზამ, შვილო, ხანდახან ეგრეც უნდაო! — ეუბნება სიმამრი.

— ვერ გავიგე, რა მითხარიო?! — ძლივს მოითქვა სული სიძემ.

— უთავბოლობის გარეშე, უცნაურობის გარეშე, შვილო, სიცოცხლე მომაბეზრებელი იქნებოდაო!..

ხალხი კიდევ სიხარულით ქოთქოთებს: როგორც იქნა, ჩვენს სოფელში გამოჩნდა კაცი, რომელმაც დაამტკიცა: თუ უვარგისია, შენი შვილიც რომ იყოს, უბედნიერესად უნდა ჩათვალო თავი, თუკი მოგაშორებენ; თვითონ თუ გაიქცევა, ამას რაღა სჯობიაო!.. ასე იყო... დარწმუნებული ვარ, იმ სოფლელებს მერიმეს „მატეო ფალკონე“ არა ჰქონდათ წაკითხული... აი, ამ ამბის მოყოლა მინდოდა, რას იტყვი?! — ეღიმება გერას.

— ზღაპარია!

— იყოს. ზღაპარი ხომ იმიტომ გვიყვარს, კეთილი დასასრული რომ აქვს ყოველთვის.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი თბილისში. მოქანდაკე გურამ კორძახია. თარხან არჩვაძის ფოტო.





# ზურაბ დათუაშვილი







- მხატვრის პორტრეტი.
- მეჩაიეები.
- ივერია.
- ფოტოეტიუდი.
- თიბათვე.



ზურაბ დათუაშვილი — ამ სახელს და გვარს ხშირად შეხვდებით ჩვენი რესპუბლიკის და საკავშირო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

— მხატვრული ფოტოს ოსტატი! — ასე უწოდებენ ხშირად პატივცემულ ზურაბს.

ზურაბ დათუაშვილი პროფესიით ინჟინერია. ფოტოხელოვნება მისი საყვარელი საქმიანობაა. აი, ამიტომაც არის, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებს, მაშინვე ფოტოაპარატს მოიმარჯვებს ხოლმე და მუხლჩაუხრელად დააბიჯებს საქართველოს მთებსა და ბარში.

აღიარება თავისთავად როდი მოდის! ვინ მოთვლის, ჭეშმარიტ ხელოვანს რამდენი ფიქრი, რამდენი ძიება, დაძაბული შრომა, მიგნება და ოსტატობა სჭირდება, რომ მაღალმხატვრული ფოტოსურათი შექმნას.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო ყოველთვის გამოირჩევა თავისი ორიგინალური მიგნებით, გადაღების მახვილგონივრულად შერჩეული კუთხით, შინაარსობრივი გააზრებით, მხატვრულობით, საკუთარი ხელწერითა და ტექნიკური ოსტატობით.

ფოტოხელოვნის მაღალოსტატობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან მრავალი ჯილდო და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა საკავშირო კონკურსებში, ფოტოფესტივალებზე, გამოფენებზე. ზურაბ დათუაშვილმა თბილისში, მოსკოვში, ტალინში, ალმა-ათაში, მინსკში, ერევანში, პოდოლსკში, კრასნოგორსკში, ჩეხოსლოვაკიაში, სოფიაში და სხვა ქვეყნებში გამართულ ფოტოკონკურსებსა და ფოტოგამოფენებში სამართლიანი აღიარება და მაღალი ჯილდოები დაიმსახურა.

ფოტოხელოვნების მოყვარულები კიდევ მრავალ წარმატებას უსურვებენ ზურაბ დათუაშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბიჭვინთა. 1978 წ. ოქტომბერი. მსოფლიო პირველობაზე.

1973 წლის 28 იანვარს ტელევიზიის საჭადრაკო ჟურნალ „სჭორინეს“ მიერ მოწყობილ გადაცემას ათასობით გულშემატკივარი ადევნებდა თვალს, მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა ერთდროული სეანსი ჩაატარა 8 მოსწავლე გოგონათა შორის, სადაც 5 პარტია მოიგო, 2 ყაიმით დაამთავრა და 1 პარტია წააგო 12 წლის მაია ჩიბურდანიძესთან.

**სურათზე:** ნონა გაფრინდაშვილი გამარჯვებას ულოცავს მაია ჩიბურდანიძეს. მარცხნივ დგას ნინო გურიელი.

ვ. გენგიურის ფოტო.



# მოჭადრაკე უცხოელის თვალით

ბიჭვინთაში ერთი ახოვანი, სიმპათიური პოლონელი მეზღვაურის ფორმით რომ დადიოდა, ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის ყველა პარტიას ესწრებოდა. 74 წლის ჰენრიხ მალინოვსკი ბიჭვინთაში პოლონეთის საჭადრაკო ფედერაციამ, გაზეთებმა „ჰენრიკ ბალტიისკიმ“ და „ბანდერამ“ მოავლინეს (ორივე გაზეთი გდინიაში გამოდის). მეორე მათგანი პოლონეთის სამხედრო ფლოტის ორგანო გახლავთ („ბანდერა“ ესპანურ ენაზე „დროშას“ ნიშნავს). თვით მალინოვსკი მრავალი წლის განმავლობაში მეზღვაური ყოფილა და კომანდირის (პირველი რანგის კაპიტანი) წოდებას ატარებდა. იგი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ყოფილა, იცნობდა და იცნობს მსოფლიოს ყველა ჩემპიონს. ცხადია, ვილჰელმ სტეინიცის გარდა.

— თუ სადმე სამოთხე არსებობს, ბიჭვინთა ყოფილა! რა მზეა და რა ზღვა! კაცი აქ რომ ჩამოვა, სამუდამოდ დარჩენას მოინდომებს. ჩვენთან პოლონეთში ბევრი ლამაზი კურორტია, მაგრამ წელს ნაადრევად აცივდა. სექტემბრის პირველ ნახევარში ვარშავაში ბინების გათბობაც კი დაიწყეს. აქ კი... რაც შეეხება მატჩს, იგი მეტად დრამატულად მიმდინარეობდა. ჩინებულად ვიცნობ ნონა გაფრინდაშვილის დიდ ხელოვნებას — ორი წლის წინ სანდომირში ვმსაჯობდი ვაუთა დიდ საერთაშორისო ტურნირს ცნობილი დიდოსტატების მონაწილეობით. იქ ნონას მხოლოდ ბრონშტეინმა გაუსწრო და ისიც მას შემდეგ, რაც რაღაცა მანქანებით თანაბარი პოზიცია მოუგო. მაია ჩიბურდანიძესთან მატჩის წინ ნონა აბსოლუტურ ფავორიტად მიმაჩნდა, მაგრამ ჩემი აზრი არ გამართლდა. გაფრინდაშვილი დაღლილი მეჩვენა (გამოგიტყდებით, მე მისი დიდი გულშემატკივარი ვარ)! — გვითხრა ჰენრიხ მალინოვსკიმ.

— რას იტყვით მაია ჩიბურდანიძეზე?

— მაიაზე ბევრი რამ გამეგონა, ბიჭვინთაში იგი პირველად ვნახე. მაია დიდი ალმაცლობით თამაშობდა. იგი არის საოცრად ნიჭიერი, პირდაპირ გოლიათური ნიჭის მოჭადრაკე. 17 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება, დამეთანხმეთ, დაუჯერებელი ამბავია. ერთმა რამემ ძალზე გამაოცა; ეს გახლავთ საკუთარი ძალებისადმი (და საკუთარი სიმართლის!) აბსოლუტური რწმენა, რაც მაიას ჰქონდა. არა მგონია, სადმე აღმოჩნდეს ქალი, რომელიც არ აღელდება ნონა გაფრინდაშვილთან თამაშის წინ, ნონა ხომ არაჩვეულებრივი ავტორიტეტის მქონე მოჭადრაკეა; მაია კი სრულიადაც არ ღელავდა. ახლა მისი თამაშის სისწრაფე — 16 პარტიაში იგი მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა ცაიტნოტში, ნონა გაფრინდაშვილი კი დროის სისტემატურ ნაკლებობას განიცდიდა.

მსოფლიოს ჰყავდა ღირსეული ჩემპიონი და ახლაც ღირსეული ჩემპიონი ჰყავს! მჯერა, მაია ნონას ტრადიციებს ჯეროვნად გააგრძელებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მაიასათვის რაიმე საჭადრაკო „ჯებირი“ არ არსებობს.

— ზოგჯერ მიმომხილველები მეტოქეთა შეცდომებზეც წერდნენ.

— მათ ასე ვუპასუხებდი: არაერთ პარტიას დავსწრებივარ, როდესაც შეცდომები მოსდიოდათ დოქტორ ლასკერს, ლეგენდად ქცეულ კაპაბლანკას, დოქტორ ალიოხინს. ერთი სიტყვით, უშეცდომო მოჭადრაკე ჯერ არ დაბადებულა!

— როგორ გესახებათ მოვლენათა შემდგომი მსვლელობა ქალთა ჭადრაკის სამყაროში?

— ვერ ვხედავ მესამე ისეთ მოჭადრაკეს, მაია ჩიბურდანიძეს და ნონა გაფრინდაშვილს რომ ღირსეული კონკურენცია გაუწიოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამი წლის შემდეგ დიდ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე ერთმანეთს ისევ ეს დიდოსტატები უნდა შეხვდნენ. რამდენადაც ვიცი, ამ აზრს ახლა ბევრი ექსპერტი იზიარებს.

— ადრეც გქონდათ კონტაქტი ქართველ მოჭადრაკეებთან?

— თბილისში არაერთგზის ვყოფილვარ; ვიცი, რომ საქართველოში ბევრი პოლონელი ცხოვრობს, რომელთათვის თქვენი მშვენიერი ქვეყანა მეორე სამშობლო გახდა. წინათ ტაშკენტში ვცხოვრობდი... ტაშკენტიდან ვიცნობდი თქვენს გამოჩენილ ოსტატს ვიქტორ გოგლიძეს, დიდ პატივს ვცემდი ოსტატ არჩილ ებრალიძესაც. ქართველ მოჭადრაკეებთან კავშირი არასოდეს გამიწყვეტია; ბევრს ვწერ მათ შესახებ.

პოლონეთში ორი ფრიად ნიჭიერი ქართველი ქალიშვილი გავიცანი. ჯერ იყო და ჩვენს მიერ მოწყობილ საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალედ ითამაშა ნინო გურიელმა. როდესაც პოლონეთში ჩამოვიდა, მის შესახებ არაფერი ვიცოდი. მაგრამ გავიდა სულ სამი კვირა და ნინო პირველ პრიზს დაეუფლა. ნინოს ისეთი მტკიცე ხასიათი და საჭადრაკო ნიჭი აქვს, რომ შემდეგში ძალიან დიდ წარმატებებს უნდა მიაღწიოს. შევიტყვე, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ჩემპიონატში მან ნონა გაფრინდაშვილსაც სძლია, ნანა ალექსანდრიასაც და ირინე ლევიტინასაც.

გავიდა სულ ცოტა ხანი და სხვა ქართველი ქალიშვილი გვეწვია — ნანა იოსელიანი. იგი დედასთან ერთად იყო, მაგრამ ამას მცდარი წარმოდგენა არ შეუქმნია, ვიცოდით როგორი სახიფათონი იყვნენ ქართველი ქალიშვილები. ნანამაც ჩინებულად ითამაშა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები მხოლოდ და მხოლოდ ქართველი მოჭადრაკეებისაგან შედგება!

ჰენრიხ მალინოვსკი არ გახლავთ ერთადერთი უცხოელი, რომელიც ნონასა და მაიას მატჩს ესწრებოდა. ამ ორთაბრძოლამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა ვარშავის ჟურნალ „შახის“ პასუხისმგებელ მდივან მარიან ჟემბინსკიზე.

— უცხოეთის პრესა მატჩს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა. ბევრს წერდნენ ჩვენთან, პოლონეთში. ბევრი მასალა გამოაქვეყნეს ბერლინის „ნოიეს დოიჩლანდმა“ და „ბერლინერ ცაიტუნგმა“. ასე იყო ყველა ქვეყანაში.

— როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ასეთი დიდი ინტერესი?

— მსოფლიოს პირველობაზე მატჩი უკვე დიდი ყურადღების ღირსია; მაგრამ იყო ერთი თავისებურებაც; ყველას აინტერესებდა, როგორი შედეგი ექნებოდა უძლეველ ნონა გაფრინდაშვილის წინააღმდეგ 17 წლის გოგონას, რომელმაც სულ რაღაც ორი წლის მანძილზე მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატები დაამარცხა. ნონას შემდეგ ჩვენ თითქოს არაფერი უნდა გაგვკვირვებოდა, მაგრამ...

მართლაც, რომ საოცარი ამბავი მოხდა. ბევრი მიმომხილველი ელოდა, რომ მაია ჩიბურდანიძისათვის უკვე უდიდესი წარმატება იქნებოდა 1978 წელს მსოფლიოს პირველობაზე მატჩის თამაში. რაც შეეხება გამარჯვებას, ეს ცოტა არ იყოს, ნაადრევად მიაჩნდათ. მაიას გულშემატკივრები დაახლოებით ასე ფიქრობდნენ: ეს მატჩი საუკეთესო სკოლა იქნება და როგორიც არ უნდა იყოს მისი შედეგი, ჩიბურდანიძე უდავო სარგებლობას მიიღებს. აი, დადგება 1981 წელი. მაია 20 წლისა იქნება, ნონა გაფრინდაშვილი კი ორჯერ უფრო დიდი, მაშინ კი შესაძლებელი გახდება შეჭიდება.

რას იტყვი ამ მსჯელობის შესახებ, მკითხველო, მას, მართლაც, არ აკლია გარკვეული ლოგიკა. ახლა კი გავხსნით ფრჩხილებს და ვიტყვით, რომ მას თავიდანვე იცნობდა მაია ჩიბურდანიძე და... არ ეთანხმებოდა! მან მიიჩნია, რომ 1978 წელსვე შეეძლო წარმატებით ებრძოლა და სავსებით სწორად გამოდგა.

ბიჭვინთის მატჩში მაია ჩიბურდანიძის წარმატებამ აღტაცებაში მოიყვანა მთელი საჭადრაკო სამყარო. მაგრამ მაინც ძალზე ძნელია დაჯერება, რომ შეიძლება 17 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

ბიჭი გამრეკელი.

---

პიატიგორსკში მშვენიერი სამკურნალო წყლებია ავადმყოფებისათვის, მაგრამ ამასთანავე უცნაური წესები არსებობს, მაგალითად: ჩამოვიდა ერთი დამსვენებელი მოხუცი კაცი და პირდაპირ აბანოებისაკენ გასწია.

— თქვენი პასპორტი? — ჰკითხა წესის დამცველმა.

— რად გინდა ჩემი პასპორტი? ესაა ეხლა გადავეცი ჩემი სახლის პატრონს — მითხრა, პოლიციაში უნდა წარვადგინო.

— ეგ ჩვენთვის სულ ერთია, თქვენ უთუოდ უნდა წარმოადგინოთ პასპორტი, თორემ უპასპორტოთ აბანოში შესვლა ყოვლად შეუძლებელია.

— რა ვქნა, წავალ, იქნებ სახლის პატრონს კიდეც გამორთმეული ჰქონდეს პოლიციელისაგან.

წავიდა და მოიტანა კიდეც პასპორტი.

— ეგ პასპორტი დამოწმებული არ არის.

მოხუცმა გასწია პოლიციისაკენ.

— თქვენ თავდაპირველად უნდა წარმოადგინოთ ექიმის მოწმობა, რითი ხართ ავად და როგორ უნდა იმკურნალოთ თავი.

მოხუცმა გასწია ექიმისაკენ;

ექიმმა უთხრა:

— უფროსი ექიმისაგან უნდა გქონდეთ მოწმობა, ისე ვერ დავამოწმებ,

რას იზამდა, გასწია უფროსი ექიმისაკენ. ასე რომ მეხუთე დღეს ავადმყოფს ფეხი გაუჭიმავს.

აი, ესეც სამკურნალო წყლები, გამაცოცხლებელი... აბანოები!..

* * *

ერთი ახლად ჩამოსული კეთილშობილი კაცი პაპანაქება სიცხეში ქუჩაში იდგა და რაღაც უიმედო თვალით სახლებს ათვალიერებდა, ამ დროს კინტომ გაიარა.

— კნიაზ, დული აგურცი, მსხალი გულაბი, აპელსინ, ლიმონი, რაც შენს გულს უნდა, სულ აქაა, რას ინებებ, კნიაზო?

— რა მაგისა მცალიან, შვილოსა!

— ვა, კნიაზ, რამე უბედურება ხომ არ შეგემთხვა, ჰა?

— უბედურებაა, მაშ რა ოხრობაა, აგერ სამი საათია რაც ქუჩა-ქუჩა თავგადაგლეჯილი დავდივარ, სახლს ვეძებ და არ იქნა და არ იქნა, ვერ ვიპოვე და ვერა! იქნებ, შენ იცოდე ეგ სახლი ვის ეკუთვნის!

— ეს სახლი, კნიაზ, ეკუთვნოდა ვიღაცას, მერე ვიღაცამ იყიდა და ეხლა კი შიგ ვიღაცა დგას.

— აი, ვაცხონე მამიშენის სული, — თქვა კეთილშობილმა და თამამად გასწია სახლის კარებისაკენ.

# ლიტერატურული ხუმრობები

## შალვა და მხატვარი

შალვა დადიანს ერთი მხატვარი ქალი გადაეკიდა: უნდა დაგხატოთო; შალვას არ უნდოდა, მაგრამ დააძალა მხატვარმა. დანიშნეს დღე. მხატვარს შალვა თეატრალურ საზოგადოებაში უნდა დაეხატა, მის კაბინეტში.

დადგა ეს დღე და მოვიდა მხატვარი. გააწყო თავისი სახატავი იარაღები და უცდის შალვას, ვუცდი მეც (მაშინ შალვასთან ვმუშაობდი თეატრალურ საზოგადოებაში).

მოვიდა შალვა, იკითხა მხატვარი მოვიდაო; მითხრა, ერთად შევიდეთო კაბინეტში. შევედით.

დიდი ამბით, თეატრალურად მიესალმა შალვა მხატვარს, ხელზე ეამბორა, დაჯდა და ქუდი მოიხადა...

მოი საკვირველებავ! შალვა უკვე აღარ იყო ის კაცი, რომელიც თავისი ლომის ფაფარით და არტისტული გარეგნობით გარემოსა და ჩვენც გვამშვენებდა. შალვას თმა გადაეპარსა და სრულიად შეეცვალა სახე. მას მიმიკის დიდი ნიჭი ჰქონდა და ჩვენს წინ იჯდა ცხვირჩამოშვებული, თვალებდაწვრილებული, შუბლშეკრული და ტუჩებდაწეული კაცი.

მხატვარი დაიბნა.

ეს არტისტული სცენა იმით დამთავრდა, რომ მხატვარმა თავის ტკივილი მოიმიზეზა და თქვა: მერე მოვალო. მას შემდეგ მხატვარი არ გამოჩენილა. შალვამ კი ბევრი იცინა და ასე თქვა:

— მხატვარი მარტო თავისი განწყობილებით კი არ უნდა ხატავდეს. ერთი ეკითხა ჩემთვის, ვარ თუ არა გუნებაზე?! ხელოვნებაში გულწრფელობაა მთავარი... დაძალება არ შეიძლება!

როდიონ ქორქია

## მებარგული

მეგობრობის საღამოში მონაწილეობის მისაღებად ექვსი მსახიობი მოსკოვში გაგვაგზავნეს. ბატონი აკაკი ხორავა, როგორც თეატრის დირექტორი, ჩვენთან მოდიოდა.

მოსკოვი... საკავშირო თეატრალური საზოგადოების განათებული რამპა... მეგობრობის საღამო... ყველაფერი ეს მსახიობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა და ჩვენც თავი გადავდეთ, ჩვენი ჩემოდნები ტანსაცმლით და სამკაულით გავტენეთ; ახლა ხილი და პურ-მარილი დავუმატეთ და ზოგს ორ-ორი ჩემოდანიც კი მოგვქონდა.

ბატონმა აკაკიმ გამგზავრების წინ კაბინეტში მოგვიხმო და მეგობრობის საღამოს მნიშვნელობაზე გვესაუბრა. ბოლოს ასე მოგვმართა:

— ახლა იქ არ დაიწყოთ მანჭვა-გრეხა. მე იქ თქვენი დირექტორი კი არა ვარ, კოლეგა ვარ თქვენი და ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე, უბრალოდ და ამხანაგურად მომეპყარით!

მატარებლის გასვლის წინ, სადგურში ბატონმა აკაკიმ გადახედა ჩვენს ბარგს და ჯენტლმენურად სათითაოდ აიტანა ვაგონში. უხერხულობა კი ვიგრძენით, მაგრამ მისი სიტყვები გაგვახსენად: „მე თქვენი დირექტორი კი არა ვარ"...

მოსკოვში ჩასვლისას ბატონმა აკაკიმ ჩაზიდა ჩვენი ჩემოდნები; ტაქსშიც მან ჩააწყო; სასტუმროში რომ მივედით, ნომერშიც მან ჩამოგვირიგა.

ჩემს ნომერში რომ შემოვიდა და ჩემოდანი დადო, ბატონი აკაკი მძიმედ ჩაეშვა სავარძელში და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— ძალიან დაიღალეთ, ბატონო აკაკი? — შევეკითხე სინდისის ქეჯნით.

— ბატონო, მე გითხარით, ამხანაგურად მომეპყარით, მებარგულად მაქციეთ-მეთქი კი არ მითქვამს!

ბატონი აკაკი მერე უცებ წამოდგა და წამოიძახა:

— ლეილა ლამბაშიძის ჩემოდანი დამრჩა მოსატანი! — და ნომრიდან სწრაფად გავიდა.

ელენე საყვარელიძე

# „ტფილისის უწყებანის" მასალები ფრანგულ ენაზე

გასული საუკუნის ოციან წლებში აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად ევროპაში „პარიზის აზიური საზოგადოება" გადაიქცა. ამ საზოგადოების მიერ გამოცემულ ჟურნალში მასალები საქართველოს შესახებ ოციანი წლებიდან გვხვდება. ჟურნალში იბეჭდება საქართველოში ნამყოფი ხალხის შთაბეჭდილებანი; ჟურნალი აქვეყნებს ახალგაზრდა მეცნიერის მარი ბროსეს პირველ ნაშრომებს, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა და ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემების კვლევას შეუდგა. ბროსეს ყველაფერი აინტერესებდა საქართველოს შესახებ, იგი სწავლობდა ყველა ქართულ წიგნსა და ხელნაწერს, მაგრამ ამ დროისათვის საფრანგეთში ასეთი მასალა ძალზე იშვიათი იყო, რადგან კონტაქტი საქართველოსთან მოისუსტებდა. ასეთ ვითარებაში ყოველი ახალი ინფორმაციის წყარო მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევდა. ამითი აიხსნება, რომ პარიზული აღმოსავლეთმცოდნეობითი ჟურნალი მაშინვე გამოეხმაურა თბილისში გამოსულ პირველსავე გაზეთს.

პერიოდული გამოცემების ისტორია საქართველოში გასული საუკუნის მეორე ათწლეულიდან იწყება. პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი" 1819-1821 წლებში გამოდიოდა.

მაგრამ ჟურნალისტიკის ნამდვილ საწყისად 1828 წლიდან გამოცემული „ტფილისის უწყებანი" უნდა ჩაითვალოს. ეს გაზეთი ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა და ქართულ და რუსულ ენებზე გამოდიოდა. მთავრობის ბრძანებებისა და ცნობების გარდა აქ იბეჭდებოდა საზოგადოებრივი თუ კულტურული ცხოვრების საკითხებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა მასალა.

გაზეთის რედაქტორი პ. სანკოვსკი იყო; იგი პირადად იცნობდა პუშკინს, ქართული ტექსტის გამოცემას სოლომონ დოდაშვილი ხელმძღვანელობდა. საგულისხმოა, რომ „ტფილისის უწყებანი" კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტების სტატიებსაც ბეჭდავდა. ყოველივე ეს XIX საუკუნის კავკასიური პერიოდიკის მნიშვნელოვანი მოვლენაა (გაზეთში გამოქვეყნებული მასალები დღესაც საინტერესოა. გაზეთის რუსულ ტექსტს ეხება ნ. მახარაძის 1976 წელს გამოცემული გამოკვლევა „პირველი რუსული გაზეთი კავკასიაში").

გასულ საუკუნეში კავშირი დასავლეთსა და საქართველოს შორის შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ამიტომაც „პარიზის აზიური საზოგადოება" თბილისის გაზეთებს სისტემატურად არ იღებდა და მის თანამშრომლებთან მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარმა თუ მიაღწია. ამის შესახებ მარი ბროსე „აზიური ჟურნალის" ფურცლებზე წერდა, რომ გაზეთის სრული კომპლექტი არა აქვს. როგორც ჩანს, იგი ამ გამოცემას ინფორმაციის კარგ წყაროდ მიიჩნევდა, რადგან იქვე დასძენდა, რომ პოლიტიკური მოვლენების გარდა, გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს სტატიებს, რომლებიც კავკასიის ხალხების ცხოვრებას ეხება („ჟურნალ აზიატიკ", 1829, ტ. III, გვ. 471).

ბროსეს არქივში დაცულია „ტფილისის უწყებანის" 1828 წლის ერთი ნომერი. გაზეთის ამ ნომრიდან მან ორი სტატია თარგმნა და აზიური საზოგადოების ჟურნალში დაიბეჭდა.

პარიზის აზიური საზოგადოების ჟურნალში გვხვდება „ტფილისის უწყებანიდან" თარგმნილი სხვა მასალებიც, რომლებიც ხელმოწერილი არ არის; ეს თარგმანები გაზეთის რუსული ტექსტიდანაა გაკეთებული (ზოგი მთლიანად, ზოგი ნაწილობრივ). მათში მოცემულია ცნობები საქართველოს ყოფა-ცხოვრებაზე, ბუნებაზე, მეურნეობაზე.

მაგალითად, პარიზის ჟურნალში დაბეჭდილია ორი სტატია ოფიცერ გრიგოლ გორდეევისა, რომელიც „ტფილისის უწყებანში" ბეჭდავდა წერილებს საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ. ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილი გორდეევის სტატია ეხება ქართულ საქორწინო წეს-ჩვეულებებს („ჟურნალ აზიატიკ", 1831, ტ. VIII, გვ. 108-116). მთარგმნელი არ არის მითითებული. ტექსტი დაბეჭდილია მთლიანად რუსი ავტორის კომენტარებთან ერთად. საკუთარ შენიშვნებს წერილზე ან, საერთოდ, გაზეთის შინაარსზე ფრანგი მთარგმნელი არ აკეთებს.

გორდეევის სხვა სტატია, რომელიც ფრანგულადაა თარგმნილი, ძველ ქართულ ხალხურ თამაშობებს ეხება. „ტფილისის უწყებანი" ამ სტატიას 1830 წლის 3 აპრილის ნომერში ათავსებს. ფრანგული თარგმანიც იმავე წლითაა დათარიღებული („ჟურნალ აზიატიკ", 1830, ტ. VI, გვ. 158-160).

სტატია იწყება შესავლით, რომელშიც ნათქვამია, რომ უძველესი ხალხური თამაშობების ისტორია საქართველოში მრავალ წელს ითვლის. ხალხური თამაშობები ძალზე იყო გავრცელებული XVIII საუკუნემდე, როდესაც ერეკლე მეორემ ზოგიერთი მათგანი აკრძალა, რათა ადამიანების ენერგია უფრო სასარგებლო საქმისაკენ მიემართათ. მოგვიანებით თამაშობანი ნაწილობრივ აღდგენილ იქნა; ზოგზე კი ცნობები დარჩა ხალხურ გადმოცემაში. სტატია რამდენიმე თამაშის აღწერას იძლევა. მათ აწყობდნენ ახალი წლისა და აღდგომის დღესასწაულის დროს: 1. სამეფო ნადირობა; 2. ყაბახი და 3. ჩოგანი, ანუ ბურთის თამაში.

ეს თამაშობები დაწვრილებით და კარგადაა აღწერილი. ამიტომაც „ტფილისის უწყებანის" ეს სტატია სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია როგორც ერთ-ერთი წყარო ძველი ქართული თამაშობების შესახებ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ მასალამ მაშინვე მიიპყრო უცხოელ მკვლევართა ყურადღება და მისი თარგმანი შეუმოკლებლად იქნა გამოქვეყნებული პარიზის აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალში.

ეთნოგრაფიული ხასიათის მასალების გარდა პარიზის აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალი სხვა სახის ინფორმაციასაც ბეჭდავს „ტფილისის უწყებანიდან". მაგალითად, 1830 წელს ახალი ამბების განყოფილებაში დაბეჭდილია სტატია ალავერდის მაღაროების შესახებ („ჟურნალ აზიატიკ", 1830, ტ. VI, გვ. 75-77); ამ სტატიის ავტორია დიმიტრი ზუბარევი, რომელიც 1828 წელს მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიდა და მონაწილეობდა „ამიერკავკასიის მხარის ფინანსური და სტატისტიკური თვალსაზრისით აღწერის შედგენაში. იგი ბევრს მოგზაურობდა და სამსახურებრივი საქმიანობის გარდა აგროვებდა მასალას ქვეყნის ისტორიული წარსულისა და კულტურის ძეგლების შესახებ. მან მოათავსა მთელი რიგი საინტერესო სტატიებისა როგორც „ტფილისის უწყებანში", ასევე რუსეთის გაზეთებშიც. მასვე ეკუთვნის ცნობები გრიბოედოვის პიესის „ვაი ჭკუისაგან" დადგმის შესახებ, რომელიც თბილისში 1832 წელს თავად რომან ივანეს ძე ბაგრატიონის სახლში გაიმართა. ამ სპექტაკლში ჩაცკის როლს თვით ზუბარევი ასრულებდა.

თბილისის გაზეთში გამოქვეყნებული ზუბარევის წერილი ალავერდის მაღაროების შესახებ ფრანგულად მაშინვე ითარგმნა.

ზუბარევის ზემოხსენებული სტატია ეხება კავკასიის მინერალურ სიმდიდრეებს. მასში მოცემულია აგრეთვე სხვა ისტორიული ცნობები და მათთან დაკავშირებული კერძო პირთა ოჯახური დრამაც. თხრობას ალავერდის საბადოებზე ერეკლე მეფის დროით იწყებს, რომელმაც თურქეთიდან სპილენძის წარმოების ბერძენი სპეციალისტები მოიწვია. შემდეგ აღწერილია, თუ როგორ აწარმოებდნენ ისინი სპილენძს. მშვიდობიან საქმიანობას ომმა შეუშალა ხელი. 1785 წელს ავარელი ომარ ხანის ლაშქრობისას მადნის მომპოვებელთა დიდი ნაწილი ტყვედ ჩავარდნილა. მაღარო მაინც განაგრძობდა საქმიანობას 1795 წლამდე, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობამდე. სტატიაში მოთხრობილია დედაქალაქის განსაცდელი და ტყვედ ჩავარდნილი მაღაროელების თავგადასავალი; შემდეგ კი მოთხრობილია, თუ რა ბედი ეწია მაღაროს გიორგი მეფის დროს და XIX საუკუნეში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

ამ სტატიის ფრანგული თარგმანი შემოკლებულია. რუსულ ტექსტში მოცემულია ბერძენი ხელოსნების უფროსის ამბავიც; მას ქართველ ქალზე უქორწინია და ორი ქალიშვილი ჰყოლია. შემოსევის დროს ყველანი ტყვედ ჩავარდნილან და დაკარგულან. თვითონ გამოქცეულა და მუშაობა დაუწყია. მალე ტყვეობიდან ცოლი დაუხსნია და გაუგია, რომ ერთი ქალიშვილი სპარსეთში გათხოვილა, ხოლო მეორისა ვერაფერი გაიგო.

ამრიგად, მშრალი ცნობები სპილენძის მოპოვების შესახებ შერწყმულია ისტორიულ აღწერასთან და მთხრობელის ამბავთან. კორესპონდენციაში იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა და გამოკვეთილია საქართველოს მრავალტანჯული წარსულის ცალკეული ეპიზოდები.

„ტფილისის უწყებანის" სტატიების თარგმანების გამოქვეყნება პარიზის ჟურნალის გვერდებზე არის პირველი გამოხმაურება საქართველოში არსებულ პერიოდულ გამოცემებზე. თვით ამ პუბლიკაციების ფაქტი იმაზე მიგვითითებს, რომ თბილისურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები საინტერესო იყო არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობისათვის, არამედ კავკასიის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთა ყურადღებასაც იპყრობდა.

ნატალია ორლოვსკაია.

# ფეხბურთის ისტორიიდან

● მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ჩატარდა 1930 წელს ურუგვაიში. პირველი ჩემპიონი გახდა ურუგვაის ეროვნული გუნდი.

● ფიფას დამფუძნებელი კონგრესი გაიმართა 1904 წლის 21 მაისს, პარიზში.

პირველად მასში მხოლოდ ხუთი ქვეყანა შედიოდა — საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, დანია, შვეიცარია.

● ფეხბურთის სამშობლო ინგლისი ფიფას წევრი მხოლოდ 1906 წელს გახდა.

ყველაზე დიდი საფეხბურთო ტრადიცია ინგლისს აქვს. ინგლისში 1863 წელს შეიქმნა მსოფლიოში პირველი საფეხბურთო ორგანიზაცია.

ყველაზე ახალგაზრდა საფეხბურთო ორგანიზაციებია მალტაში, ალჟირში, კონგოში, ავღანეთში, ლაოსში, ლიბანში.

● ინგლისი წლების მანძილზე ბოიკოტს უცხადებდა მსოფლიო ჩემპიონატს და მას ყველა ქვეყნის ფეხბურთელთა უდიდეს ფორუმად არ ცნობდა.

● მსოფლიოს VIII ჩემპიონატი, როგორც ცნობილია, ინგლისში ჩატარდა.

1966 წლის 20 მარტს ლონდონის ვესტმინსტერის სასახლიდან, ზედ ინგლისის პარლამენტის ცხვირწინ, დღისით, მზისით მოიპარეს ფეხბურთის საფეხბურთო პრიზი — ჟიულ რიმეს ოქროს თასი.

ერთი კვირის შემდეგ დაკარგული ოქროს თასი იპოვა ძაღლმა პიკლზმა (ცუღლუტმა), თავისი პატრონის დევიდ კორბეტის ბაღის გაზონებში.

ჟიულ რიმეს თასმა მანამდე სხვა ხიფათიც გაიარა.

მეორე მსოფლიო ომის წინ, თასის მფლობელი იტალიის ეროვნული გუნდი გახდა და თასი იტალიის ფეხბურთის [illegible] ბარასისთან ინახებოდა.

როცა იტალიაში ფაშისტები გაბატონდნენ, ისინი შეეცადნენ ხელთ ეგდოთ ოქროს თასი. მოხერხებულმა ო. ბარასსმა მოახერხა ჟიულ რიმეს თასი ძველი ფეხსაცმლების გროვაში დაემალა და ისე გადაერჩინა.

● არგენტინაში, დღევანდელი მსოფლიო ჩემპიონის სამშობლოში, ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1893 წელს.

არგენტინა ფიფას წევრი გახდა 1912 წელს.

ეროვნული ჩემპიონატები არგენტინაში 1893 წლიდან ტარდება.

# კაკაოს ხე

გაგრის რაიონში მოწყობილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის მთავარი ბოტანიკური ბაღის საყრდენი პუნქტი. ამ პუნქტში წლების მანძილზე ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა წარმოებს უცხოეთის ქვეყნებიდან შემოტანილი სასარგებლო ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების აკლიმატიზაციისათვის.

საყრდენ პუნქტში, უამრავ მცენარესთან ერთად, შეხვდებით კაკაოს ხესაც, რომლის სამშობლოა სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა.

კაკაოს ხე სამუალო სიმაღლის მცენარეა. მისი მუქი-მწვანე ფერის ფოთოლი დიდი ზომისაა და ელიფსური ფორმა აქვს. ყვავილები პატარა ფორმისაა, ისინი ტოტებზე და უშუალოდ ხის ტანზე ჯგუფ-ჯგუფად არიან განლაგებულნი.

კაკაოს ხე მრავლდება თესლით. ლიმონის ხის მსგავსად, იგი ყვავილობს თითქმის მთელი წლის განმავლობაში, გარდა ზამთრის თვეებისა (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი). უნდა აღინიშნოს, რომ კაკაოს ხის ყვავილობის დროს დამტვერვას ხშირად ხელოვნურად აწარმოებენ: სპეციალური პინცეტით იღებენ მტვერს ერთი ყვავილიდან და მეორე ყვავილზე გადააქვთ. სათბურში ჰაერის ტენიანობას 80-100 პროცენტის ფარგლებში ინარჩუნებენ, ნიადაგის ტემპერატურა არ შეიძლება 18 გრადუსზე დაბალი იყოს, ხოლო ჰაერის ტემპერატურა ყოველთვის 20-25 გრადუსის ფარგლებშია.

კაკაოს ანუ შოკოლადის ხის ნაყოფი წიბოებიან გოგრას მოგვაგონებს, ფერით მოწითალოა. ხიდან ნაყოფის მოჭრას წელიწადში ორჯერ აწარმოებენ: აპრილ-მაისში და სექტემბერ-ოქტომბერში. ნაყოფში 25-30 ცალი მსხვილი თესლია, თითოეული თესლის მარცვალი 30-40 გრამს იწონის.

გაგრის საყრდენ პუნქტში შოკოლადის ხის პირველი მოსავალი მიიღეს 1958 წელს. მაშინ თითოეულ მცენარეზე მოკრიფეს 70-80 ცალი ნაყოფი, რაც სარეკორდო მოსავალია მსოფლიოში. ცნობილია, რომ ტროპიკულ ქვეყანა განაში, რომელიც განთქმულია შოკოლადის ხის უხვმოსავლიანობით, ერთი ხიდან საშუალოდ იღებენ 35-40 ცალ ნაყოფს.

საქართველოს საყრდენ პუნქტში მიღებული კაკაოს ხის პირველი ნაყოფი — 6 კილოგრამის რაოდენობით მოსკოვში გაგზავნეს. სპეციალურმა კომისიამ მაღალი შეფასება მისცა ამ ნაყოფს. ძვირფასი კაკაოს ხის მოშენება ახლა ყოველწლიურად იზრდება საყრდენი პუნქტების სათბურებსა და მათ ღია ტერიტორიაზე. სათანადო დამუშავების შემდეგ თესლიდან იღებენ ზეთს, ხოლო წვრილად დაფქვილი მასიდან კაკაოს. კაკაოდან, რომელშიც ურევენ კაკაოს ზეთს, შაქარს, ვანილს, ამზადებენ შოკოლადს. შოკოლადის ასეთი შემადგენლობა საიმედოდ უზრუნველყოფს მის დიდ ყუათიანობას.



გიორგი დათუაშვილი

# ლექსები

## შალვა ფორჩხიძე

●

მთვარე — ყერყეტა ბატი
ბანზე შემოჰყვა მერცხალს,
ანჩხლობს კვიმატი მარტი,
ფიფქით ბილიკებს ვერცხლავს.
აპრილი ჩითავს კარტს,
მკლავზე ნარჩიტა უზის,
და ცეცხლს უკიდებს ცას
ყაყაჩო — ყვავილთ ტუზი.
ფშვინავს მაისის ვარდი,
ვაზის რტო მიმტვრევს კარებს,
ეს იყოს ჩემი დარდი
და საფიქრალი მწარე!..

●

ცივი ვარსკვლავი... წყლისფერი ცა,
ყვითელი მთვარე,
სით აცილებენ
ამ უდარდელ, მხიარულ სტუმრებს?!
სოფელი რჩება
სათარეშოდ უამურ ქარებს,
ლაბუა ჩიტი
მოწყენილი სარკმლიდან უსტვენს...
დილით ეზოში
წითელი მზე სისხლავს ბზის ტოტებს...
ჩემს წიფობელას
ხასიათი შეცვლია რატომ?!
ნუთუ ჰგონია,
ამ მიდამოს გულგრილად ვტოვებ
და სალამოჟამს
სხვა მხარეზე ვოცნებობ მარტოდ!
სულ ტყუილია,
ამგვარი რამ არ დაიჯერო,
ვიდრე ჩემს სახლთან
თუთის შტოზე ჰიკჰიკებს ჩიტი,
ვიდრე ამ მიწას
ჩემი ტანის ეცემა ჩერო,
ვიდრე ჰალაში
მიმწიფს ყანა, მწიფეა შინდი.
ყურს ნუ ათხოვებ
მოწრიალე, უდარდელ ქარებს,
ჩემი სახლის გზა
მოასწავლე მხიარულ სტუმრებს,
სალამოს ხორცით
რომ ვაპურებ
დამშეულ მთვარეს
დილით ჩემს სულში წითელი მზე
ჩიტივით უსტვენს...

## ქაცი საქართველოს საქადრისი

ქართველთ განაგებდა მეფე ხელდასხმული,
ნეტავ რისად დასცდა სინანული?!
მისი სტრიქონები შუბია წამახული,
სიტყვაში ჩატოვა ცეცხლი მინავლული.
კაცი საქართველოს საკადრისი
ხმელეთს ანცვიფრებდა მხნეობითა,
ქართველთ შეეწია
დღე მისი დანაკლისი,
მოყვასთ ანათლებდა ენამჭევრობითა...
ერმა ალამაღლა
მეფე ხატკეთილი,
მამულს შეაშველა ხელი დაწაფული,
არავის უნახავს
მტრის წინ დადრეკილი,
ხმალივით უჭრიდა
თვალი არწივული.
კაცი საქართველოს საკადრისი,
ვაითუ ეჩვენა ცოტანი,
ხალხს რომ შეწეოდა
მისი დღე დანაკლისი,
თავის თავზე იდო
მოყვასთა ცოდვანი.
ყველას აპატია შეცოდება,
ბრძანა: გულსა ჩემსა
ვლიდნენ ქართველთანი,
ოდეს ჩემი ხალხი ტაძრად შემოკრბება,
ვით მე მტერი ვძლიე,
სძლიონ კაეშანი.
ბრძანა:
ანუგეშონ ნათელდაშრეტილნი,
მშიერთ საზრდო მისცენ ხორცისანი,
ყრმანი მოამრავლონ ხატკეთილი,
მამულს დაუყენონ მცველად მოისარნი...
საქართველოს ახსოვს ჯერაც
დავით მეფის დანაკლისი,
რომ არ გაჩნდეს, არა მჯერა,
კაცი მისი საკადრისი!...

. . . . . . . . . . . . . .

საქართველოს ახსოვს,
ოდეს
დავით ხმალი აღმართა,
ერმა მეფით,
მეფემ ერით
ბედი წაიწალმართა...

. . . . . . . . . . . . . .

გალვივდა ცეცხლი მინავლული,
ერის წმინდა გულში ჩამარხული.
დავითს არ უხდება სინანული,
მისი სტრიქონები შუბია წამახული...

## შაქრო სამადაშვილი

### პასუხი

მიკვირს, რომ არ მიდიხარ ტურისტად სადმე საზღვარგარეთ, ეს ხომ აფართოებს პოეტური აზროვნების ჰორიზონტს!

მეგობრის წერილიდან

საზღვარგარეთ, სადმე,
სამიოდე კვირით —
რომ წავიდე ტურისტად
არის გასაკვირი!
ვერ შევძელი.. თუმცა
სურვილიც მაქვს, ნდობაც.
მცირე ხნითაც კერა
რა ვქნა, არ მეთმობა;
მგზავრს საკმაოდ ხნიერს
რომ მიმუხთლო, ბედო,
სიკვდილის წინ ალაზნის ველს
როგორ გადავხედო?!
ის რაც ჩემთვის ხარობს —
სამშობლოში ხარობს,
მამულია ჩემი
შთაგონების წყარო.
მაკლდეს ლონდონის თუ
ბეირუთის ნახვა,
ფრთხილად, ჩემო თავო,
ვერსადაც ვერ წახვალ!
დაე, სულში შუქი
მშობლიურ მზემ გზავნოს,
შენ გიცქერდე, შენთან ვიყო,
დინჯო ალაზანო!
პოეზიის ტრფიალს
კვლავ გულწრფელად გითხარ:
ჩემი ქვეყნის მზერით
მსურს ვიცოცხლო დიდხანს.
ტყემლის თეთრი ყვავილებით
ეზო დამეთოვლა,
აქ ვარ, აღარ ძალმიძს
შორი გზების მოვლა.
საზღვარგარეთ, სადმე,
სამიოდე კვირით —
ვერ მივდივარ... ეჰ მოვხუცდი,
რაა გასაკვირი!

■

მთაწმინდა თავისი კოლორიტითა და მომხიბვლელობით ჩვენს დედაქალაქს პოეტურ სახეს მატებს.

წინათ მთაწმინდა უკაცრიელ და გაველანებულ ადგილს წარმოადგენდა. სიცხისაგან შეწუხებული თბილისელები უგზოობის გამო მამადავითზე [illegible] ვაივაგლახით ადიოდნენ და კოჯრის ნიავით იგრილებდნენ შუბლს. ამ მთის რელიეფურმა პირობებმა განაპირობა მამადავითზე რკინიგზის გაყვანა. ეს საქმე მიენდო ბელგიელ ინჟინერს ალფონ რობს, რომელიც იმხანად თბილისში იმყოფებოდა სარკინიგზო საქმეების გამო.

1899 წელს ა. რობმა კავკასიის სახელმწიფო სამინისტროს რწმუნებულ — მრჩეველს წარუდგინა თხოვნა, რომ მამადავითზე გამოეყოთ ადგილი, სადაც უნდა გაეყვანა რკინიგზა; ეს რკინიგზა ქალაქის მოსახლეობას გაუადვილებდა ასვლას მამადავითზე, რომელიც ზაფხულობით კარგ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა.

1901 წლის 10 ივლისს, ტექნიკური პროექტის საფუძვლებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა ტექნიკურმა საამშენებლო კომიტეტმა დაამტკიცა, რომ ა. რობს დაეწყო ფუნიკულიორის მოწყობა; მშენებლობა უნდა დაწყებულიყო მთის ძირიდან, სადაც ქალაქის წყალსადენის რეზერვუარი იდგა და უნდა დამთავრებულიყო მთის ე. წ. „განდეგილის" თავთან. ა. რობს მამადავითზე გამოუყვეს 5 001 კვადრატული საჟენი მიწა. ა. რობმა გულმოდგინედ შეისწავლა მთის რელიეფი და 1903 წელს მშენებლობას შეუდგა.



ფუნიკულიორის გზის სიგრძე, რომელიც გაანგარიშებულია ზედა და ქვედა სადგურებში მდგომი ვაგონების ღერძების ცენტრებიდან, შეადგენს 478.04 მეტრს, ხოლო რკინიგზის სიგანე ერთი მეტრია. ლიანდაგს ორივე მხარეს დატანებული აქვს წყლის საწრეტები, გზის დასათვალიერებლად და შესაკეთებლად გაკეთებულია კიბეები.

მიწისა და ქვის მოზვავების თავიდან ასაცილებლად გზის შუა ნაწილში აღმართულია ცხრა თაღი; ეს თაღები ერთიმეორისაგან თითო მეტრითაა დაშორებული. თაღებს ზევით გაკეთებულია პლატფორმა და გზის გასაყარი, სადაც ვაგონები ერთმანეთს გვერდს უქცევენ. ლიანდაგები დგას ქვით ნაშენ ორ კედელზე, რომლის რკინის განძელები დაბეტონებულია და მჭიდროდ აქვს ჩასმული ანკერები. ეს ანკერები საიმედოდ ამაგრებენ ლიანდაგებს, რომ ვაგონების დამუხრუჭებისას არ მოხდეს მათი განზე გაწევა. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ვაგონებს აქვს ძლიერი მუხრუჭები, რომელთა გამოცდა ორ თვეში ერთხელ ხდება. ბაგირი, რომელიც მიმაგრებულია წინა ვაგონზე, შედგება ე. წ. პენკოვის გულისაგან; ეს არის სელისაგან გაკეთებული ზეთით გაჟღენთილი თოკი, რომელიც ლითონის ხვიას შუა გულში აქვს გაყრილი და ამ

თოკის საშუალებით ხდება მთელი ხვიის შეზეთვა. ხვიაში 19 მავთულია. თითოეული ფოლადის მავთულის დიამეტრი 2,22 მმ-ია. ბაგირის წონა ყოველ ერთ მეტრზე3,8 კგ შეადგენს.

ვაგონის დასაძრავად ფუნიკულიორს ქვანახშირიდან გაზის გამოსამუშავებლად ედგა გაზის გენერატორი, რომელსაც მოძრაობაში მოყავდა გაზის ძრავა, ამ ძრავას კი დინამო. ენერგია გადაეცემოდა ჯერ ელექტროძრავას, მერე კი ვაგონებს (ამჟამად ფუნიკულიორის უნიკალური მექანიზმი მთლიანად მუდმივ დენზეა გადაყვანილი). სამგზავრო ვაგონები 5 განყოფილებისაგან შედგებოდა და 55 კაცს იტევდა. წონა 5.700 კგ იყო.

ფუნიკულიორის მთელი სამანქანო მექანიზმი და მოწყობილობა გაკეთებულია „ბროუნ ბოვერის“ და „კ.ო.“ ფირმების მიერ ქალაქ ბადენში (შვეიცარია). ფუნიკულიორის მშენებლობა დამთავრდა 1904 წელს, ეს თარიღი ფუნიკულიორის ლიანდაგებზეც არის აღნიშნული.

1905 წლის 26 მარტს საზეიმოდ შედგა ფუნიკულიორის ამუშავება. პირველი მემანქანე ვასო ყვავილაშვილი ყოფილა. იგი იგონებდა: „პირველად ხალხს ეშინოდა ბაგირის გაწყვეტისა და ვაგონში არ სხდებოდნენ. ფაიტონებით ხალხი მოჰყავდათ და ფულს აძლევდნენ — აიღეთ ფული, ნუ გეშინიათ, ჩასხედით. მერე ხალხი რომ შეეჩვია, იცოცხლე, ბილეთებზე რიგი იდგა“.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის ფუნიკულიორი

- მათ დაამონტაჟეს ეს პირველი დანადგარები.
- ფუნიკულიორის ზედა სადგური.
- ქვედა სადგურის მშენებლობა.
- აქედან კარგად მოჩანს თბილისი.





ხალხი კმაყოფილებით შეხვდა მამადავითზე ტრამვაის ასვლას.

ხელშეკრულების თანახმად, ა. რობს ევალებოდა მოეგვარებინა ნებართვის მიღება ფუნიკულიორის ზედა სადგურიდან კოჯრამდე რკინიგზის გასაყვანად.

1908 წელს ასეთი ხელშეკრულება დაიდო, საამისოდ თანხაც გამოყვეს, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს საქმე განუხორციელებელი დარჩა.

ფუნიკულიორის კეთილმოწყობა, გაფართოება, მშრომელთა დასვენების საუკეთესო ადგილად გადაქცევა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1934 წლის 5 ივლისს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ მთაწმინდის პლატოს 12,5 ჰექტარ ფართობზე დაწყებულიყო ტერიტორიის გამწვანება.

1936 წელს მთაწმინდის ზედა ნაწილში ამოიყვანეს 215 მეტრი სიგრძის საყრდენი კედელი — 900 კუბური მეტრის მოცულობით. იმავე წელს დაიწყო ზედა სადგურის მსუბუქი აჟურის მქონე შენობის, ღია კინოთეატრის, რადიოკვანძისა და ატრაქციონების მშენებლობა.

1938 წლის 24 ივლისს პარკი მზად იყო გახსნისათვის.

დიდი სიხარული და ზეიმი ჰქონდათ თბილისელებს. იმ დღით 150 000-ზე მეტმა მშრომელმა ინახულა ფუნიკულიორი. მოზვავებულ დამსვენებელთა მომსახურებისათვის 22 სალარო მუშაობდა.

1939 წელს თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მთაწმინდის ტერიტორიაზე დაირგო 90 000 ძირი ხე. აქედან 5.000 ძირი ხილის მომცემი ხე იყო.

პარკის მთავარი შენობა, რომელიც ქალაქს გადაჰყურებს, სამსართულიანია. პირველ სართულზე მოთავსებულია ტრამვაის სადგური, საბილეთო სალარო და რესტორნის სამზარეულო; მეორე სართულზე რესტორანი — საბანკეტო დარბაზებითა და ღია ვერანდებით; მესამე სართულზე ახალგაზრდობისათვის ბარია.

1969 წელს დაიწყო ფუნიკულიორის რემონტი. აშენდა ახალი ქვედა სადგური, გამოიცვალა ტრამვაის ვაგონები, ალაგ-ალაგ შეკეთდა რკინიგზა.

1975 წელს ფუნიკულიორის მომმართველი ჯალამბარი, რომელზეც დამოკიდებულია ვაგონების მიმოსვლა, 70 წლის შეუსვენებელი მუშაობის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა. მისი გაკეთება ვერ მოხერხდა, რადგან დიდი დიამეტრის მქონე ჯალამბარი ჩვენში არ მზადდება. ეს საკითხი სწრაფად მოაგვარეს ფუნიკულიორის გზის უფროსმა დავით კაციაშვილმა, საბაგირო გზის სამსახურის უფროსმა ბადრი გოგოძემ და გზის უფროსმა მექანიკოსმა ნიკოლოზ კაციაშვილმა.

ჯალამბარს ღარში ზეთგამძლე სარტყელი დაუდეს, რამაც დაიცვა ჯალამბრის სწრაფი ცვეთა და ბაგირიდან ასხლეტა.

თბილისის ფუნიკულიორი შეუფერხებლად მუშაობს, ჩვენი დედაქალაქის ეს ერთ-ერთი უნიკალური მშვენება, მშრომელთა გართობისა და დასვენების საყვარელი ადგილია.

უშანგი ბედია



## ჭრელ-ჭრელი ამბები

### ტბების აღწერა

სპეციალისტების საგანგებო ჯგუფმა ამას წინათ დაამთავრა ჩვენი ქვეყნის ტბების სტატისტიკური აღწერა-გამოკვლევა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე თურმე 2 მილიონ 800 ათასი ისეთი ტბაა, რომლის წყლის ზედაპირი 1 კვადრატულ კილომეტრს აღემატება.

ყველაზე დიდი ტბებია კასპიის ზღვა, არალისა და ბაიკალის ტბები.

### „ლეგენდა სიყვარულზე"

დაიწყო საბჭოთა კავშირისა და თურქეთის პირველი ერთობლივი კინოსურათის გადაღება.

„ლეგენდა სიყვარულზე" ასე ეწოდება ფილმს, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდს ახლა თურქმენეთში იღებენ.

ფილმში გაცოცხლდება უძველესი თქმულება ფარხადზე და შირინზე.

### 2 ათასზე მეტი

მოძმე ესტონეთის ტერიტორიაზე დღემდე 2 ათასზე მეტი მიწაში ჩაფლული დიდი განძია ნაპოვნი.

მათ რიცხვს ამას წინათ კიდევ ერთი განძი შეემატა. პიარნუს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოაჩინეს XVI საუკუნის ფული. ახლად აღმოჩენილი ძვირფასი მონეტების რაოდენობა 2 ათას ცალს აღემატება.

### ახალი სამკურნალო კერა

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს ძვირფასი სამკურნალო თვისებების მქონე რამდენიმე მინერალური წყარო.

ახლად აღმოჩენილი სამკურნალო წყლების ირგვლივ მალე გაშენდება საკურორტო-ბალნეოლოგიური ქსელი.

### იუბილე

მოლდავეთის ქალაქ ტარასპოლში მცხოვრებმა რეზჩიკოვებმა ამას წინათ გადაიხადეს თავიანთი ოჯახის პედაგოგიური საქმიანობის იუბილე.

## ალიმ ქეშოკოვი

ყაბარდოელი პოეტი

### უსახელო ნაკადული

ვისია ეს ნაკადული,
ეკუთვნის რომელ მხარესა?!
უსახელოა? რა უჭირს,
ცა ხომ ადნება ალერსად...
უხდება სიველურე და
თავისუფლებაც უხდება;
ხორხისმიერი ბგერებით
ენაში მე მგავს უთქმელად...
მოჰქრის და გული უმღერის,
გული და არა გონება;
ოქროდ და ვერცხლად იფრქვევა,
მდელოებს ეამბორება...
მას უსახელო მგოსანიც
შეგირდად ბევრი ჰყოლია;
ერთი მათგანი მეც ვიყავ,
თუ არა ვცდები, მგონია...
სულ მუდამ კმაყოფილია
თავის ამგვარი ბედითა;
არ უვარს სინდის-ნამუსზე
ზოგიერთივით ბევრის თქმა.
უსახელოა? ის მაინც
მოდის და მოედინება;
სურები ავსოს წმინდა წყლით,
აი იმისი დიდება!..
ო, როგორ მინდა, მეც მისებრ
გულზე ცა და მზე მესვენოს,
ოქრო და ვერცხლი გვეფრქვიოს,
ჩვენც, მისებრ, ჩემო ლექსებო!..

### ახალ კერაზე

გოგოა ყაბარდოელი,
ფერი გადაჰკრავს მთვარისა;
ცომს ზელავს, გუნდა ყოველი
ჰგავს ჩარხში გამოყვანილსა.
ცომს ზელავს, გუნდას აბრტყელებს
ფქვილდაყრილ ვარცლის თავზედა;
ზვერავენ... ფიქრის ფანტელებს
ძლივს იგერიებს, ბრაზდება...
ახალი პატარძალია,
პურს აცხობს ახალ კერაზე;
რა ქნას, რა მისი ბრალია
ლამაზი თუა ყველაზე...
ზვერავენ, შორით ზვერავენ
ყაბარდოელი ბიჭები,
სიტყვა აშრებათ ენაზე,
ყველა მის რისხვას მოელის...
ჰალარა მთის მწვერვალები
დაისის ცეცხლში იწვიან;
იწვიან ქალის თვალებიც,
ვახმე, სახმილი ვისია?!
იციან მთებმაც, ბიჭებმაც,
იცის ბრდღვიალა დაისმაც;
სულში სხვა შუქი იჭრება,
იქნებ ქალის ხმაც გაისმას:
— მოდით, რას უცქერთ კაბადონს,
პური გავტეხოთ და-ძმურად;
გზა დავულოცოთ ყაბარდოს,
მყობადისკენ რომ დაძრულა!..

თარგმანი შალვა ამისულაშვილისა

## ალუდა არაგული

●

ყველა ღიმილი, თვალებიც ყველა, —
ზეცა მარტოდენ მხოლოდ მამულის...
მხოლოდ პოეტი ვაჟა-ფშაველა, —
მხოლოდ ბალახი მიმონამული.
მეტი არ არის ახლა საგანი,
ალმა ამფრენი და ამყვანელი...
ან სულ სხვა რამე, უფრო სხვაგვარი,
მოსაფერები და საყვარელი.
არც ხატის მადლი, არც ღმერთის
შველა...
ნაღდია ერთი ეგ სიყვარული: —
პოეტი-ცეცხლი ვაჟა-ფშაველა...
უფრო ლამაზი ზეცა მამულის...

●

შენ, ჩემო მამულის ცაო,
შენ, მზეო ჩემი დედულის
ვარ და ვიქნები კვლავაცო,
სანამ შენ ჩემად მეგულვი.
ქარო, ვისავ და რისაო,
შენ ქარო, ჩემი ქედების,
ჩემო და არა სხვისაო,
გემორჩილები, გნებდები.
კრთის ვარსკვლავები ციხანი
ამერისა და იმერის;
„ალგეთს ლეკვები მგლისანი"...
სვანეთს „ლილეო"... გიმღერის.
არ მეგულება შენდარი
მზის, ვინმე სხვაგან მიმგნები,
სერით სერებზე შემდგარი
ვიქნებით სანამ იქნები!

●

შენ არ ჩამიქრე, არ დამიბნელდე,
ჩემო ვარსკვლავო, არ გამიმეტო.
არ მიმიტოვო ობლად იმედი,
არ მიღალატო, ჩემო იმედო.
მე ის მოყმე ვარ, —
რომ დაგიდევი
თავი დიდგორთან და არ გაგწირე.
სანთლის ფეხივით რომ დაგიდექი, —
უსჯულოებით არ დაგამძიმე...

## ოქრო

6 ათასზე მეტი წელია, რაც ოქრო კაცობრიობისათვის ყველაზე ძვირფასი ლითონია. მის ქონაზე დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოთა სიმდიდრე, თავდაცვითი ძლიერება, კულტურული, ტექნიკური და სამეურნეო განვითარება. განსაკუთრებულ როლს თამაშობს იგი ეკონომიკაში, სადაც ოქრო ფულის საერთაშორისო ექვივალენტის ფუნქციას ასრულებს.

საბჭოთა მანეთის ოქროს შემცველობა, მაგალითად, 1961 წლის პირველი იანვრიდან ქიმიურად სუფთა ოქროს 0,987412 გრამია.

წვრილი თვითნაბადებიდან დამზადებულ ოქროს სამკაულებს: საკიდებს, ყელსაბამებს, საყურეებს... ჯერ კიდევ ამურის ეპოქაში (ნეოლითი) იყენებდნენ.

პირველად ოქროს მისი შემცველი ქვიშრობების რეცხვისას იღებდნენ ნილოსის დელტასა და ქვემო დინებაში. არქეოლოგების მიერ ფარაონების აკლდამებიდან ამოღებულმა ოქროს უზარმაზარმა რაოდენობამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გეოლოგებისა და სამთოელების ყურადღება მიიპყრო.

ოქროს წყურვილი, რომელიც კაცობრიობას მასთან პირველი გაცნობისთანავე მოედო, საუკუნეთა მანძილზე ცხოვრების მნიშვნელოვანი სტიმულატორი და ერთ-ერთი მთავარი ბერკეტთაგანი იყო.

ჯეკ ლონდონმა, ბრეტ-ჰარტმა და ბევრმა სხვა მწერალმა ოქროს მიუძღვნა თავისი მოთხრობები და რომანები.

წარმოსადგენადაც ძნელია ოქროს წარმოების გრანდიოზული მასშტაბები. ამ საქმეზე დასაქმებული პირების რიცხვი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში 12 მილიონ კაცს ჰარბობს — ეს ხომ მთელი სახელმწიფოა.

მდინარეები, რომლებიც ოქროს შემცველ რაიონებში გაივლიან, ყოველთვის შეიცავენ ოქროს ატივტივებულ მდგომარეობაში. მაგალითად, ამურს ოკეანეში ყოველ საათში ერთი კილოგრამი ოქრო ჩააქვს, ანუ დაახლოებით 8,5 ტონა წელიწადში. ოქროს მნიშვნელოვანი გატანა ახასიათებთ სხვა მდინარეებსაც, რამაც განაპირობა ამ ძვირფასი ლითონის გრანდიოზული მარაგების არსებობა მსოფლიო ოკეანეში.

ოქროს მსოფლიო წლიური მოპოვება (სსრ კავშირის გამოკლებით) დაახლოებით 1300 ტონას უდრის. ქვანახშირის, რკინისა და სხვა სასარგებლო ნამარხების მოპოვების ციფრებთან შედარებით ეს საოცრად ცოტაა. მოპოვებული ოქროს ძირითადი ნაწილი — 980-მდე ტონა იუველირულ ნაკეთობებზე იხარჯება; კბილის პროთეზებს ხმარდება დაახლოებით 90 ტონა, დანარჩენი კი სხვა მიზნებისათვის გამოიყენება.

ვარაუდობენ, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე დედამიწის წიაღიდან მოპოვებული ოქროს საერთო რაოდენობა 100-105 ათას ტონას შეადგენს.

ინტერესს მოკლებული როდი იქნება, ამ ძვირფასი ლითონის მოპოვების ზრდას გავადევნოთ თვალი. XVI საუკუნეში მოპოვებულია — 763 ტონა, XVII-ში—914, XVIII-ში—1.890, XIX-ში — 11.616, XX-ში კი 1970 წლამდე 54.714 ტონა ოქრო (სსრ კავშირის გარდა). მოპოვებული ოქროს ძირითადი მასა სხვადასხვა ქვეყნების ოქროს სახელმწიფო მარაგის სახით ინახება. კაპიტალისტური ქვეყნების ოქ-

რეზჩიკოვების სამი თაობის წარმომადგენლები, საერთო ანგარიშში, 200 წელია, რაც ახალგაზრდების აღზრდას ემსახურებიან.

## ახალი სახეობის ნუში

როგორც ცნობილია, ველური ნუშის ხის ნაყოფს მეტად მწარე და არასასიამოვნო გემო აქვს.

ტაჯიკმა ბოტანიკოსებმა ამას წინათ დარვაზის მიყრუებულ ხეობაში აღმოაჩინეს აქამდე უცნობი ველური ჯიშის ნუში. ამ ხის ნაყოფი არც მწარეა და გემო ჩვეულებრივი ნუშისა აქვს.

ნუშის ჯიშის ახალ სახეობას მალე გაავრცელებენ მოძმე ტაჯიკეთში.

## 100 მილიონი წლის

საბჭოთა და მონგოლელმა გეოლოგებმა ერთობლივი მუშაობის დროს გობის უდაბნოს მახლობლად იპოვეს დიდი მარგალიტი, რომლის ხნოვანებაა... 100 მილიონი წელი.

ამ ხნოვანების მიუხედავად, მარგალიტს კარგად აქვს შემონახული თავისი მომუქო ფერი და მომხიბვლელი ეშხი.

## უძველესი კერა

ამას წინათ სომხეთში აღმოაჩინეს რამდენიმე მრავალსართულიანი გამოქვაბული.

არქეოლოგებმა გამოქვაბულებში მიაკვლიეს კერამიკულ ნაწარმს, გადამდნარი ლითონის ნარჩენებს, XII-XIII საუკუნეების მონეტებს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს ადგილები ძველად ლითონის გადამუშავების ერთ-ერთი კერა იყო.

## ორიგინალური მოწყობილობა

ქართველმა კონსტრუქტორებმა შექმნეს ბორბლებიანი ტრაქტორის ავტომატური მართვის ორიგინალური მოწყობილობა.

მოწყობილობის ე. წ. „ფოტოფარი“ ღამის სიბნელეში კარგად არჩევს მოხნულ და მოუხნავ ნაკვეთებს.

ელექტროავტომატი მანქანას სწრაფად და მოხერხებულად მართავს. ტრაქტორისტი მხოლოდ თვალყურს ადევნებს მინდორში მომუშავე ტრაქტორს.

# ჩვენ-ჩვენი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია

შენ არ გაფრინდე, შენ არ გამწირო,
მხარკვერიანო, ჩემო არწივო.
მე ხომ შენი ვარ, —
მე ის ცოტნე ვარ,
შენთვის სიკვდილი რომ მეცოტავა
და გევედრები, არ გამიმეტო,
არ მიღალატო, ჩემო იმედო...

## რევაზ დანელია

შინდისფერ ცას და შინდისფერ ღიმილს
უგალობს ჩემი ლურჯი მდინარე.
ო, ღმერთო ჩემო,
მაყურადე ფერების შხუილს,
ფეხშიშველი მარბენინე წყარჩხვიამდე.
ცა და ცა მარბენინე, ო, ღმერთო ჩემო!

... ნუ დაუფრთხობ შინდისფერ მზეს
მეჯოგის კარავს,
გულზე ნალივით ცისარტყელა ჩამოუკიდე,
უმრავლე ჯილაგი,
ხარი და კრავი...

ისევ და ისევ უელვარე ტობავარჩხილი,
უწყნარესი ტობავარჩხილი.
ისევ შინდისებრ აუყვავე
ხორბლისფერი ცხელი მარჯვენა!..

შინდისფერ ცას და შინდისფერ ღიმილს
უგალობს ჩემი ლურჯი მდინარე.

### მარცვალი

ჩავაგდებ ხვალე ნახნავში მარცვალს,
ნახნავში მარცვალს ჩავაგდებ ხვალე
და აპრილისკენ გავემართები.

აივსებენ ძროხები ჯიქანს
ქორფა ბალახის უნაღდეს მადლით,
აივსებენ ძროხები ჯიქანს...

კრავივით გოგო
ტყეში მიგდებულ
მგლების ყმუილს
არად ჩააგდებს,
დატოვებს ჯარგვალს,
ჯარგვალს დატოვებს
და დაიწყებს
ცაში ხეტიალს.

ნახნავიდან მარცვალი რომ ამოიხედავს?
აპრილიდან მაისისკენ გავემართები.

### დილა

დილა წითლად ისე ღუის,
ვით ჭიქაში ცეცხლის ღვინო...

ილანდება მწვანე ჩრდილი
სინათლისგან,
სიამისგან,
ღმერთო, გამითენე დილა,
თუნდაც ერთი, ამის მსგავსი!

### ქალები

სურათი

ქალები ყელს უღერებდნენ
სულ მთლად იისფერ მდინარეს,
მზე იყო ისე უღმერთო,
მზე იყო ისე მდიდარი,
ქალები ყელს უღერებდნენ
სულ მთლად იისფერ მდინარეს,
ცაში აფრენილ მდინარეს,
მზის ულამაზეს მდინარეს.

. . . . . . . . . .

ბაგეებზე ღიმი უთრთოდათ,
გულმკერდზე — თბილი სინათლე,
ცა იყო თეთრი, უთუო,
ცა იყო ცაზე მაღალი!



რის მარაგი — 1970 წლისათვის 36 ათას ტონად იყო შეფასებული. დაახლოებით იგივე დონე იქნა შენარჩუნებული 1975 წლის ბოლოსათვის. ამასთან, აშშ-ის ოქროს მარაგი შეადგენდა 8,547 ტონას, დიდი ბრიტანეთის —653, საფრანგეთის — 3.141, გფრ-ის 3.659, კანადის — 683, იაპონიის — 657 ტონას. ამავე მონაცემებით, კერძო პირების ხელშია (ტეზავრირებულია)—23 ათასი ტონა, სამრეწველო და იუველირული მიზნებისათვისაა გამოყენებული — 15-20 ათასი, დანარჩენი კი მთელ მსოფლიოშია გაფანტული — დამალულია აკლდამებში, განძებში, დამარხულია ქალაქების ნანგრევებში... აგრეთვე დაკარგულია გადაზიდვისას და ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზეა ჩაძირული.

ოქროს უზარმაზარ დაგროვებათა მაგალითია 1872 წელს ავსტრალიაში, ხილ-ენდის საბადოზე აღმოჩენილი ხოლტერმანის ცნობილი ფილა. მისი სიგრძე 144 სმ, წონა კი — 285 კგ. იყო. მისგან თითქმის 100 კგ სუფთა ოქრო გამოადნეს.

1901 წელს იაპონიაში, კუნძულ ხოკაიდოზე იპოვნეს „იაპონელი“, რომლის წონა 71 კგ იყო...

თუმცა ოქრო ბუნებაში ფართოდ გავრცელებულ ლითონებს მიეკუთვნება, მაგრამ არაჩვეულებრივ იშვიათობას წარმოადგენენ მისი მსხვილი თვითნაბადები. ამიტომაცაა, რომ ყოველი მათგანის აღმოჩენა მაშინვე ისტორიის კუთვნილება ხდება სოლმე.

დასავლეთ საქართველოში ოქროს საბადოების არსებობის შესახებ ცნობები მოყვანილი აქვთ ჰომეროსს, პინდარს, აპოლონ როდოსელს, სტრაბონს... ამ უკანასკნელის მიხედვით, სწორედ ოქროს დიდი რაოდენობით არსებობა იყო კოლხიდაში არგონავტების შემოსევის მიზეზი. ჩვენს ერამდე 79-27 წლებში სვანების მიერ ოქროს მოპოვების შესახებ მოთხრობილი აქვს პლინიუსს. კოლხეთში ოქროს მოპოვების შესახებ წერდა აპიანი (პირველი ასწლეულის დასაწყისი)..

1934 წლის შემდეგ ჯერ ენგურის, დამბლუდკის, ხრამის, პინაზაურის, მერე ცხენისწყლის, ძირულასა და სურამულას ხეობებში აღმოჩენილი პატარა ქვიშრობული საბადოები გახდა საქართველოში ოქროს მოპოვებითი სამუშაოების ბაზის საფუძველი. ენგურთან მისი მარცხენა შენაკადი — წერის შეერთების ადგილიდან ცოტა ქვემოთ, სოფელ აცისთან ახლოს ნაპოვნი იქნა თვითნაბადი, რომლის წონა 470 გრამი იყო...

ნოდარ ბერიძე

საქ. სსრ კ. მარქსის
ბიბლიოთეკა

## «ყველაზე ლამაზი»



საზღვარგარეთის კინოს ამბები

ჟურნალისტებს, კინორეცენზენტებს ყოველთვის ჰყავთ თავიანთი კერპი, რომელიც, მათი აზრით, ყველა ამქვეყნიური სიკეთის მატარებელია. ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი კატრინ დენევიც ამ კატეგორიას განეკუთვნება. იგი ატარებს ჟურნალისტებისაგან შერქმეულ ტიტულს — „თანამედროვე კინოს ყველაზე ლამაზი ქალი". შეიძლება ეს, მართლაც, ასე იყოს. მაგრამ დენევის პოპულარობა მხოლოდ მისი ფიზიკური მონაცემებით არ განისაზღვრება. იგი მთელ თავის მიღწევებს უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ნიჭიერებასა და უბადლო ოსტატობას უნდა უმადლოდეს.

კატრინ დენევი შემოქმედებით სამყაროში შემთხვევით არ მოსულა. იგი დაიბადა და აღიზარდა არტისტულ გარემოში. მამამისი თეატრის ცნობილი მსახიობი იყო, ხოლო მის დას — ფრანსუაზა დორლეაკს კინოში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო საავტომობილო კატასტროფის დროს. მანამდე კი დებმა მაინც მოასწრეს ერთად ეთამაშათ მუსიკალურ ფილმში „როშფორელი ქალიშვილები".

დენევის კინოდებიუტი 16 წლის ასაკში დაიწყო. ამას მოჰყვა რამდენიმე სურათი, რომლებსაც არ გაუხმაურებიათ მისი სახელი. იშვიათად ხდება ხოლმე, როცა ჭეშმარიტად ხალასი ნიჭიერება თავიდანვე იპყრობს საყოველთაო ყურადღებას. ასე მოუვიდა დენევსაც. იგი მოთმინებით ელოდა თავის „ბედის ვარსკვლავს". და ეს დღეც დადგა. 1964 წელს კანის კინოფესტივალზე დენევს მიანიჭეს ოქროს პალმის რტო ჟაკ დემის ფილმ „შერბურის ქოლგებში" შესრულებული ქალის როლისათვის.

სწორედ ამ ფილმით დაიწყო კატრინ დენევის პოპულარობა. მას სიამოვნებით იწვევენ არა მარტო საფრანგეთის, არამედ იტალიის, ესპანეთის, ამერიკის ცნობილი კინორეჟისორები. რა თქმა უნდა, „შერბურის ქოლგების" შემდეგ მის მიერ შესრულებული ყველა როლი ერთნაირი ბრწყინვალებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მთელ რიგ ფილმებში მსახიობმა განიმტკიცა თანამედროვე მსოფლიო კინოს შესანიშნავი დრამატული მსახიობის რეპუტაცია.

ამ ცოტა ხნის წინათ პარიზელი მაყურებელი ერთხელ კიდევ აღფრთოვანდა ეკრანზე დენევის ხილვით. ამჯერად იგი მონაწილეობდა ფილმში „სხვისი ფული", რომელსაც საფუძვლად დაედო რეალური ისტორია.

სულ ახლახან დამთავრებულ ფილმში კი დენევი ასრულებს ქალისათვის უჩვეულო როლს — კერძო დეტექტივის როლს, რომელიც დაკარგულ ქალიშვილს დაეძებს.

კატრინ დენევის ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი საშუალებას აძლევს შეასრულოს სულ სხვადასხვა ხასიათის როლები. მას ერთნაირი ძალით შეუძლია გაართვას თავი დრამატულ, ტრაგიკულ მომენტებსაც და კომიკურ სიტუაციებსაც.

კატრინ დენევს მოსვენება არა აქვს — ფილმს ფილმი მოსდევს. იგი შემოქმედებითი სიმწიფის ზენიტშია.

## იპოვნეს, წააწყდნენ, აღმოაჩინეს

დონეცკის ოლქის ქალაქ კრასნოიარსკში, პარტიზანის ქუჩა № 17 სახლში ახალი ოჯახი შესახლდა საცხოვრებლად.

ოჯახის წევრებმა გულდასმით დაათვალიერეს ძველი შენობის ყველა კუთხე — კუნჭული. აბა წარმოიდგინეთ, რა შიშმა და გაოცებამ შეიპყრო ისინი, როცა იატაკის ქვეშ მოულოდნელად აღმოაჩინეს... 250 კილოგრამიანი ბომბი.

ეს ბომბი, როგორც შემდეგ დადგინდა, მეორე მსოფლიო ომის დროს, დაახლოებით 35 წლის წინათ იყო ჩადებული იატაკის ქვეშ.

ბომბის ამოღება მეტად საშიში იყო: მცირეოდენი მოძრაობის დროს იგი შეიძლება აფეთქებულიყო.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა გამოცდილმა მესანგრეებმა ბომბის უვნებელსაყოფად მეტად ორიგინალური მეთოდი გამონახეს: მათ გადაწყვიტეს... ბომბი გაეყინათ.

სპეციალური გასაყინი მოწყობილობით ბომბი ისე გაყინეს, რომ მასში შეუძლებელი გახდა ასაფეთქებელი მექანიზმის ამუშავება.

ბომბი სწრაფად გაიტანეს საცხოვრებელი ოთახიდან და ქალაქგარეთ ააფეთქეს.

* * *

ლენინგრადში აღმართული პეტრე I საქვეყნოდ ცნობილი ქანდაკება 1782 წელს გაიხსნა. ცხენზე ამხედრებულ ბრინჯაოს მხედარს, ცხადია, მეტი შნო და დინამიურობა შემატა საგანგებოდ შერჩეულმა პიედესტალმა.

პეტრე I ქანდაკების პიედესტალად გამოყენებული ქვის უზარმაზარი ლოდი, რომელიც ქალაქის შორეულ გარეუბანში იპოვეს, 1.600 ტონას იწონის.

ამ ქვის მსგავს უზარმაზარ ლოდს ამას წინათ მოძმე ლატვიაშიც მიაკვლიეს. იგი იპოვეს მუშებმა ქალაქ ეკაბპილსის მახლობლად ერთ-ერთ კარიერზე.

აღსანიშნავია, რომ ლატვიაში მიკვლეულ მრავალ უზარმაზარ ლოდთა შორის ეს ქვის ლოდი ყველაზე გიგანტური და ყველაზე კოხტაა.

* * *

კიევის მახლობლად ერთ-ერთ კარიერზე მუშები ქვიშას იღებდნენ, როცა მათი ყურადღება მიიპყრო რაღაც უცნაური მოყვანილობის ძვლებმა და უცნობი ცხოველის უზარმაზარმა თავის ქალამ.

კარიერზე დაუყოვნებლივ მივიდნენ უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

მეცნიერების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაადგინეს, რომ ნაპოვნი ძვლები და თავის ქალა ეკუთვნოდა მამონტთა ფაუნის ერთ-ერთ უიშვიათეს წარმომადგენელს.

უძველეს თავის ქალაზე კარგად არის შემონახული ცხოველის კბილები. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ის კბილები მათ დახმარებას გაუწევთ მიკროორგანიზმების საშუალებით დაადგინონ როგორი ფლორა იყო ამ ადგილებში დაახლოებით 15-20 ათასი წლის წინათ.

* * *

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 153 დიდი მეტეორიტია აღრიცხული.

მათ რიცხვს ამას წინათ კიდევ ერთი მეტეორიტი შეემატა.

კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი მთიანი სოფლის მკვიდრი ლ. კორნიენკო მინდორში მიდიოდა, როცა მოულოდნელად რაღაც შხუილის ხმა შემოესმა.

შეშინებული მგზავრის წინ სწრაფად ჩაიქროლა ციდან ჩამოვარდნილმა, მორუხო ფერის, ახრჩოლებულ კვამლში გახვეულმა ქვამ.

ახლად ჩამოვარდნილი მეტეორიტი მალე მოსკოვში წაიღეს. სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ეს მეტეორიტი კოსმოსიდან ჩამოვარდნილი უზარმაზარი მეტეორიტის მოტეხილი ნაწილი უნდა იყოს.



## როცა ოქროები ლაპარაკობიან

იუმორისტული მოთხრობა

ის დრო იყო, რომელიც აღარ არის.

ის დრო იყო, როცა ერთი აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბინების განაწილების დარგში, სადილის დროს საშუალო მოცულობის შებრაწულ გოჭს მიირთმევდა და ზედ ექვს ბოთლ „კახურს" აყოლებდა.

ზუსტად ის დრო იყო, მე რომ ფიზიკის ფაკულტეტი დავამთავრე, საშუალო სკოლაში მასწავლებლობა დავიწყე და სანამ უფროსკლასელი გოგონები დაადგენდნენ ცოლიანი ვიყავი თუ უცოლო, ცოლიც მოვიყვანე. უფრო სწორად მან მიმიყვანა დედამისთან (ატელიეს გამგესთან) და უთხრა: ეს (მე), როგორც გამოიყურება ისეთი არ გეგონოს, კაი ბიჭია, კოსტუმი შევუკეროთ და დღეიდან ამასიქით ჩვენთან იცხოვრებსო.

თამარა მირონოვნამ (შემდგომში მირონცხებულმა) — ჩემი სიდედრობის კანდიდატმა, კარაქიანი პური და ჩაით სავსე ჭიქა გვერდზე გადადო იმ დროისათვის არავითარი წინაპირობა არ არსებობდა, თავში რომ ჩაერტყა და ბრძანებას დაჩვეული კილოთი მითხრა: ქუდი მოიხადეო. მაშინვე მივხვდი რაც უნდოდა — მოგახდევინებს ქუდს, დაგითვლის თმას და იმღერე მერე, სასიდედროშ დამიწუნაო. გამაგრდი-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი, პროვოკაციას არ წამოეგო და საგანგებოდ დალაგებული ნერვებით და დაყენებული ბარიტონით ვუთხარი:

— თუ შეიძლება, ქუდს სხვა დროს მოვიხდი, აბანოდან ახალი გამოსული ვარ და გავცივდები!

გაიცინა და მკითხა, სადაური ხარო. (თვითონ გურულია).

— რაჭიდან წამოსული, იმერეთგამოვლილი თბილისელი ვარ, თანაც ფიზიკოსი და ჯერჯერობით არც ერთი პირი ცოლ-შვილი არ მიმიტოვებია! — სხაპასხუპით ვუპასუხე.

— ეგ არაფერი, — დამამშვიდა მან. — გამომჭრელს დაუძახა, — აულე ამას ზომები და სასწრაფოდ კოსტუმი შეუკერე!.. — უბრძანა მას.

„...მესამე გოგო რომ შემეძინა, სიდედრ-სიძურად დამამშვიდა — ვაჟკაცებს გოგოები ჰყავთო. მორიდებით შევაპარე:

— ეგ მეც გამიგია და თანახმა ვარ ვაჟკაცობაზე, მაგრამ სამ გოგოს სამოთახიანი ბინა მირჩევნია. აღრიცხვაზე ბარე ხუთჯერ სამი წელია ვარ, მაგრამ...

— ნუ გეშინია, ჩემო ფიზიკოსო სიძე, თუ საჭირო გახდა, ხვალვე რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, ხელში რკინის ჯოხს დავიკავებ და იქამდეც მივალ, ამას მე გეუბნები, შენი საკუთარი სიდედრი! — დამამშვიდა მან.

მეორე დღეს ადგა, ფრანგულ კაბაში გამოიკვართა, რკინის ქალამნებს ფინური საბოები ამჯობინა, რკინის ჯოხის ნაცვლად იუგოსლავიიდან ჩამოტანილი სინთეტიკურ-სიმპატიური „ხუმკა" დაიკავა და შიგ ზომაზე მეტად გაბერილი საფულე ჩაუშვა. თვალსა და ხელს შუა, ამას წინათ საკომისიო მაღაზიაში ნაყიდი იტალიური ფირმის „უნა მოდრენა დე სარკას" „სარკის წინ სიდედრი ცოლისდას დაემსგავსა, დაემსგავსა და გზას გაუდგა...

ორი თვის შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბინების განაწილების დარგში, ერთ ჭამაზე საშუალო მოცულობის შებრაწულ გოჭს რომ მიირთმევდა და ზედ ექვს ბოთლ „კახურს" აყოლებდა, სამოთახიანი ბინა მომილოცა და აბა შენ იციო, მითხრა.

ის სახლი, სადაც მე სამოთახიანი ბინა მერგო, მშენებლებს თურმე მშენებლური ვალდებულებით და მასალის ყაირათიანი ხარჯვა-გამოყენებით, ე. ი. ახლებური მეთოდით აეგოთ; აეგოთ და გარდამავალი დროშაც აეღოთ. ეტყობა, იმდენად დიდი იყო დროშის ხელში ჩაგდების სურვილი, რომ ჩემ ბინაში ზოგიერთი რამ გასაკეთებელი დარჩათ.

„არაფერია, კოლმეურნეობის მოედანთან რომ ბაღია, უთვალავი ჰელოსნითაა დახუნძლული, წამოვიყვან რამოდენიმეს, მოვურიგდები და ჰა, ჰა ერთ თვეში ახალ, გარემონტებულ ბინაში შევალ", — გავიფიქრე მე.

მომავალი სიამოვნებისაგან გავიზმორე, მერე დამშვიდებულ ნერვებზე შეიძლება დისერტაციაზე კი დავიწყო მუშაობა ჩემი ყოფილი კათედრის გამგის ჯინაზე.

საქმის გადადება არ მიყვარს, რამდენი გადავდე, იმდენი გადადებული დამხვდა... ნახევარი საათის შემდეგ კოლმეურნეობის მოედანზე გაბალახებულ ხელოსანთა შუაგულში შევიჭერი, ჩემი აზრით ნამდვილ ადამიანს რომ ჰგავდა ის ამოვირჩიე და ბინის საჩვენებლად წამოვიყვანე. მან ოთახები დაათვალიერა, ტუალეტშიც შეიჭყიტა და ბოლოს მითხრა: რემონტი ამდენი და ამდენი დაჯდებაო. ფასი ზუსტად ის მითხრა, რაც მე ფულის ძველი კურსით წინასწარ მქონდა გაანგარიშებული (გაგონილი მქონდა ხელოსნები ფულს ჯერ კიდევ ძველი კურსით ანგარიშობენო), მაგრამ ?აინც ყოველი შემთხვევისათვის, შევეკითხე: ძველი თუ ახალი კურსით-მეთქი.

მან გაიცინა, ყვითელი კბილები გამოაჩინა და რაღა დროს ძველი კურსიაო, მითხრა.

გულმა რეჩხი მიყო — ეს მართლა არ ხუმრობს-მეთქი და ჩემი მოსაზრება გავუზიარე.

— რა დროს ხუმრობაა, თუ გაწყობს, ბე მომეცი და დავიწყოთ, თუ არა და, წავედი, სხვა კლიენტები მიცდიან!

უსიტყვოდ გავუღე კარები. თანხის რაოდენობას, რაც მან მთხოვა, ვერ გავუმხელთ. ფიქრისათვის მტკვრის პირას არ წავსულვარ. ადგილზევე ორიოდე საათის ტვინის ჭყლეტის შემდეგ გავიღიმე, ხმამაღლა წამოვიძახე „ევრიკა" და სიდედრ-ცოლშვილთან გავქანდი. როცა მათ ჩემი გეგმა გავაცანი, სიდედრმა ისე შემომხედა, ჯობდა, სულ არ შემოეხედა. ცოლმა კი მოკლედ მოჭრა, მაგ კონაკონა აზრებით სახლში შემოსული არ დაგინახოო.

მე ჩემი გავიტანე და მოფიქრებული გეგმის შესრულებას ნელი, მტკიცე თანმიმდევრული მეთოდურობით შევუდექი. მთლიანად გეგმა ითვალისწინებდა სწავლების შეიდწლიან პროგრამას, რომლის დროსაც მე უნდა შემესწავლა ის ხელობა თუ პროფესია, რაც აუცილებელი გახდებოდა ჩემ ახალ ბინაში ნორმალური საცხოვრებელი პირობებისათვის.

ამ მიზნით შევედი პროფტექნიკურ სასწავლებელში, სადაც, დიდი თავშეკავების შემდეგ, როგორც იქნა, ჩამრიცხეს ელექტრომონტიორთა ჯგუფში. თან ფიზიკის საათებიც მომცეს. ასე რომ, ჩემი თანაჯგუფელები ამავე დროს ჩემი მოსწავლეებიც იყვნენ, ხოლო სხვა მასწავლებლისათვის მე ერთადერთი მოსწავლეც ვიყავი და კოლეგაც. ბოლოს სასწავლებლის დირექტორმა შეთავსებით ღამის კომენდანტის ნახევარ შტატზეც გამაფორმა, რადგან ჩემი მეუღლეც სიტყვის პატრონი აღმოჩნდა და პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლის ოჯახურ პარტნიორობაზე უარი განაცხადა. ჩემ ახალ ბინაში ღამის გათევას კი ნახევარშტატიანი ღამის კომენდატობა ვარჩიე.

დრომ უცებ გაირბინა. ელექტრომონტიორობის შემდეგ ლესვა-კალატოზობა ვისწავლე, მერე ღებვა-სამალიარო საქმე, დურგლობას სანტექნიკოსობაც მივაყოლე და ბოლოს ფილების მოპირკეთებაც დავიწყე. ეს კია, ფიზიკის მასწავლებლობას სამუდამოდ თავი დავანებე, ვინაიდან ყველაფერს ერთად ფიზიკურად ველარ გავწვდი.

ორიოდე წლის უკან ის ხელოსანი შემხვდა. ერთმანეთი მოვიკითხეთ და ჩემი ამბავი რომ გაიგო, მხარზე მექისესავით დამარტყა ხელი, მომილოცა და მითხრა: ერთი მაგარი საქმე მაქვს აღებული, შემიამხანაგდი და ამდენს მოგცემო. იმდენი მითხრა, დავთანხმდი.

გაძნელდა ცხოვრება, კოლმეურნეობის მოედანზე, ბაღში, აღარ გვაყენებენ, საწყალი კლიენტები გვეძებენ და ძლივს გვპოულობენ.

ამას წინათ ერთ ახალგაზრდა კაცთან ვმუშაობდით სახლში, მუხლმოყრით გვთხოვა, კარგად გამიკეთეთ და მალარიჩი ჩემზე იყოსო, ცოლი ახალი მოყვანილი მყავს, სიდედრთან ვცხოვრობ და მალე მინდა გამოვცალკევდეო. სურათიც მაჩვენა (სიდედრის კი არა, ცოლის). მეცნო, სახელი და გვარი ვკითხე — თურმე ჩემი უფროსი ქალიშვილი შეურთავს.

აბა, როგორ გარბის დრო!

ჯერ ვერ გავუმხელ სიმამრი რომ ვარ, ცოტა უხერხული იქნება ფულის გამორთმევა.

დისერტაციაზე ფიქრისთვის თავი არ დამინებებია; ოღონდ თემა შევცვალე — „ახალი ბინის მიღება და მის შეკეთებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის საკითხისათვის".

თეიმურაზ ბძელიძე

## კაკალ გულში



— სამი სიმამრი გამოვიცვალე!

— ეს როგორ?

— სიდედრი გავათხოვე სამჯერ!

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

უსიტყვოდ.



# თითქმის დაუჯერებელი

ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრმა 17 წლის ედუარდ ლედიენმა ამას წინათ ახალი რეკორდი დაამყარა: იგი, მცირე შესვენებებით, 170 საათის განმავლობაში თამაშობდა ბილიარდს.

☆

პარიზელი ექიმის ლებრიუნის აზრით, წინათ ქალები უფრო ლამაზები იყვნენ და უფრო ხშირად წითლდებოდნენ ხოლმე.

ლებრიუნს მიაჩნია, რომ ქალები ახლა თითქმის აღარ წითლდებიან.

☆

გამოიანგარიშეს, რომ ადამიანი დღეში საშუალო 20 ათას ნაბიჯს დგამს.

ამ მონაცემის მიხედვით, 70 წლის ადამიანს შეეძლო 9-ჯერ შემოევლო დედამიწისათვის.

☆

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად 4 ათასზე მეტი ციხეა.

ყოველწლიურად ციხეში საშუალოდ ორ-ნახევარ მილიონზე მეტი ამერიკელი ხვდება.

☆

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაამზადეს ბინოკლი, რომელიც 8-ჯერ ადიდებს საგანს.

ბინოკლი ისეთი მსუბუქი და პატარაა, რომ იგი თავისუფლად შეიძლება მოათავსოთ... პიჯაკის ჯიბეში.

☆

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური გამოკვლევით დადგინდა, რომ ქვეყანაში ჩატარებული ყველა ქირურგიული ოპერაციის 17 პროცენტი... აუცილებელი არ იყო.

ნაძალადევი ოპერაციები მხოლოდ ფულის მოხვეჭის მიზნით იყო ჩატარებული.

☆

რამდენიმე წლის წინათ იტალიის „შავ ბაზრებზე" ყველაზე დიდი მოთხოვნილება ნარკოტიკებზე იყო.

ამ ბაზრებზე ახლა ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა... ბენზინზე.

☆

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიმუშავეს პროექტი, რომლის მიხედვით ჩვეულებრივი საქალაქო ტრანსპორტი უნდა შეიცვალოს... ვერტმფრენით.

სპეციალისტების აზრით, სხვა ხელსაყრელ მონაცემებთან ერთად, ვერტმფრენის გამოყენება 1.300-ჯერ ნაკლებ საქალაქო ფართობს მოითხოვს.

☆

1780 წლის კანონით, ბრიტანეთში აკრძალულია კვირა დღით საცეკვაო საღამოს მოწყობა.

წლევანდელი 31 დეკემბერი კვირა დღეს ემთხვევა.

☆

ტყეში მოსეირნე თბომავალ „სამშიტის" ბოცმანი ვიტალი რიუკოვი ამას წინათ წაბლის ხიდან ჩამოხტა და... გარეულ ღორს გადააჯდა.

შეშინებულმა ტახმა მაშინვე მოკურცხლა.

ბოცმანი, როცა გონს მოეგო, იძულებული გახდა ბარდებში გადამხტარიყო.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარაზულად: 1. სატირული ხასიათის მიბაძვა. 2. პირველი ქრისტიანი ქართველი მეფე. 6. პოეზიის სამყარო. 7. მარადმწვანე წიწვოვანი ხე. 15. ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკანის თხემზე. 16 ჩილეს ნავსადგური. 18. ჩვ. წ-მდე VII საუკუნის ათენელი კანონმდებელი. 19. მხატვრული კითხვა. 20. რევოლუციური სიმღერა. 22. უკუღმა გამოსახული ჩამოსასხმელი საგნის ფირფიტა-ყალიბი. 23. თვალის ფერადი გარსი. 24. შემცირება. 25. ხატწერა, 28. დასავლეთ საქართველოს მთიანი კურორტი. 29. 1624 წელს ქართველებსა და სპარსელებს შორის მომხდარი ბრძოლის ადგილი. 30. მე-18 საუკუნეში ავსტრიის მიერ მიტაცებული უკრაინის ტერიტორია.

შვეულად: 2. დასავლეთ გერმანული ფირმა. 3. ადგილმდებარეობის გარკვევა სივრცეში. 4. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია. 7. კვირა დღის წინა საღამოს სახელწოდება ძველად. 8. სამანქანო ტექნიკით აღჭურვილი საქარხნო მრეწველობა. 9. სამარხი. 10. იატაკზე დასაგები მცირე ზომის ფიცრები. 11. შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრული ძეგლი. 12. „შავკანიანთა გეტო" ნიუ-იორკში. 13. კანონთა კრებული. 14. მსოფლიოში ყველაზე მაღალ მთათა სისტემა. 16. გამოუწვავი აგური. 17. ბალეტ „ჟიზელის" ავტორი. 21. XI საუკუნის ქართული რომანი. 26. იაპონიის პრეფექტურა. 27. XIX საუკუნის დიდი ინგლისელი ფიზიკოსი.

შეადგინა ვახტანგ ანდღულაძემ.

გარეკანის პირველ გვერდზე: მაია ჩიბურდანიძე,
თარხან არჩვაძის ფოტო

გადაეცა ასაწყობად 10. 11. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 12. 78 წ., ქაღალდის ზომა $10\times108^{1}/_{3}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52.000. შეკვ. 30313 უე 00993. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типографии издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედაქალაქი დამშვენა

ჩვენი დედაქალაქის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მწყობრში ჩადგა თანამედროვე სტილით ნაგები შესანიშნავი ნაგებობა — საწყლოსნო სპორტული კომპლექსი.

პროექტის მთავარი არქიტექტორია შ. ყავლაშვილი. ამ კომპლექსის ავტორები არიან აგრეთვე არქიტექტორი რ. კიკნაძე და მხატვარი ნ. იგნატოვი.

საწყლოსნო სპორტულ კომპლექსს ოთხი საცურაო აუზი აქვს. აღსანიშნავია, რომ ოთხივე კეთილმოწყობილ აუზში, საჭიროების შემთხვევაში, წყალი სათანადო ტემპერატურამდე შეიძლება გათბეს.

სპორტულ კომპლექსში ერთი აუზი გადახურულია; ყველაზე დიდი აუზის სიგრძე 50 მეტრია. მოხდენილად ნაგებ წყალში სახტომ კოშკს თავისი ლიფტი ემსახურება.

ტრიბუნებზე ხუთი ათასი მაყურებელი ეტევა. ბეტონის ტრიბუნების ქვეშ მოწყობილია წყალმხტომელთა საწვრთნელი აუზები, სამკურნალო და სპორტული ტანვარჯიშის დარბაზები, სამედიცინო პუნქტი, ფინური აბანოები, საექტო დარბაზი. აქვეა კეთილმოწყობილი კაფე-ბარი და დასვენების ოთახები. სპორტულ კომპლექსს აქვს სასტუმრო, რომელიც ერთდროულად 100-მდე ადამიანს შეიძლება მოემსახუროს.

თბილისის აბრეშუმ საქსოვი ფაბრიკა ძალე ქალაქის სხვა უბანში გადავა. ეს შესაძლებლობას მექმნის საწყლოსნო აუზების გვერდით აშენდეს სპორტული მოედნები, კეთილმოწყობილი სკვერი, ავტომანქანების სადგომები, სხვადასხვა სპორტული ნაგებობები.

სპორტული კომპლექსი, თავისი მწვანეში ჩაფლული შემოგარენით, მალე კიდევ უფრო კოხტა გახდება და ჩვენი დედაქალაქის მშრომელთა გართობა-დასვენების, ჯანმრთელობის გაკაჟების საყვარელ კერად გადაიქცევა.

თარხან არჩვაძის ფოტო.






ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩურჩხელები. თარხან არჩვაძის ფოტო.

ИНДЕКС 76056